საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ქეთევან მესხიშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	92	100

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი: 27.05.21

ქეთევან მესხიშვილი

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ქეთევან მესხიშვილის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

<table>
<tr><th colspan="2">მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით</th><th>კომენტარი</th></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☐</td><td rowspan="3"><u>კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასება ეფუძნება სხვადასხვა უწყებებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას,</u> კერძოდ:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებს კანდიდატის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე;

- სს „კრედიტინფო საქართველოს“ მოწოდებულ სრულ პერსონალურ საკრედიტო ინფორმაციას;

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემებს კანდიდატის შემოსავლების შესახებ;

- საჯარო სამსახურის ბიუროში კანდიდატის მიერ</td></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☐</td></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☒</td></tr>
</table>

		წარდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციას; - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მონაცემებს შესაფასებელი მოსამართლის წინააღმდეგ წარმოებული დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ; აგრეთვე, მხედველობაში მივიღე კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილი რეკომენდაციები და კანდიდატთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან გამოთხოვილი (სპეციალური კითხვარის ფორმით შედგენილ) დახასიათებები. გარდა ამისა, ვეყრდნობი კანდიდატთან გამართულ უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას. **1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:** მოძიებული მასალების თანახმად, კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით 2020 წლის 12 ნოემბრის მდგომარეობით კანდიდატს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში კანდიდატს დაშვებული აქვს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული ერთი

		სამართალდარღვევა. შეფარდებული ჯარიმა გადახდილია დროულად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. ზემოხსენებული მონაცემების, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებით, კანდიდატი გამოირჩევა, გულისხმიერებით, დამოუკიდებლობით, მიუკერძოებლობით როგორც სამოსამართლო, ისე პედაგოგიური საქმიანობაში. ხელთარსებული მონაცემებისა და დახასიათებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერების პროფესიული სინდისის მახასიათებელს. **2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა** გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებითა და შესწავლილი მასალის ანალიზის შედეგად, უნდა ითქვას, რომ კანდიდატის პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის, ასევე სხვადასხვა რელიგიის, რასის, ეროვნების, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის ადამიანებისადმი ტენდენციური ან შეუწყნარებელი დამოკიდებულების ნიშნები არ იკვეთება. ქეთევან მესხიშვილი რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მიერ დახასიათებულია დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ და სამართლიან პიროვნებად, მათი აზრით, ქეთევან მესხიშვილის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გამოირჩევა დასაბუთებულობის მაღალი სტანდარტით, ამასთან მისი ძალისხმევა სრულად მიმართულია სწორი, სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებაზე, აღნიშნულიდან გამომდინარე ის სარგებლობს მაღალი რეპუტაციით კოლეგებს, აკადემიურ და ზოგადად

		იურიდიულ წრეებს შორის. გასაუბრებაზე კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მას შესწევს დამოუკიდებლად ლოგიკური დასკვნის გაკეთებისა და საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი. **3. პიროვნული და პროფესიული ქცევა** წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი უაღრესად კორექტული, მშვიდი და გაწონასწორებული ადამიანია. თითოეულ საკითხზე მსჯელობისას ამჟღავნებდა თანმიმდევრულობას და გულახდილობას. კანდიდატის ქცევას, მის დამოკიდებულებას კოლეგების და სტუდენტების მიმართ ცალსახად პოზიტიურად აფასებენ რეკომენდატორები და გამოკითხული პირები. გამორჩეულად აღნიშნავენ მის გულისხმიერებას, ღიაობას და უშუალობას. ასევე მიუთითებენ, რომ საქმის განხილვისას სრულად კონცენტრირებულია საქმეზე და შესწევს უნარი ნათლად განუმარტოს მხარეს მიღებული გადაწყვეტილების მართებულობა. რეკომენდატორები ასევე აღნიშნავენ, რომ ქეთევან მესხიშვილს აქვს მრავალფეროვანი გამოცდილება საერთაშორისო სფეროში, რითიც ხელს უწყობს ქართული სამართლის განვითარებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. არსებული ინფორმაციით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, ქეთევან მესხიშვილის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. კანდიდატი სასამართლოში მხარედ გამოსულია ერთ ადმინისტრაციულ საქმეზე მოპასუხის

		სტატუსით. დავის საგანი იყო ზიანის ანაზღაურება. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 21 ივნისის განჩინებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი წარმოება არ განხორციელებულა. **4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია** კანდიდატის რეკომენდატორებისა და მასთან პიროვნულ და პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირების დახასიათება - შეფასებების, მხარდასაჭერი წერილის მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი, მისი წარმატებული პრაქტიკული, პედაგოგიური და მეცნიერული საქმიანობიდან გამომდინარე, სარგებლობს მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით. მუდმივად იკვლევს და კარგად იცნობს სამართლის თანამედროვე დოქტრინებს, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს. განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ ქეთევან მესხიშვილი ცნობილია როგორც გამორჩეულად დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი, მაღალი პროფესიული და ეთიკური სტანდარტების მქონე მოსამართლე. ქეთევან მესხიშვილის შესახებ ინტერნეტ სივრცეში სხვადასხვა სახის ინფორმაციაა ხელმისაწვდომი, მათ შორის მის მიერ განხილული საქმეების შესახებ. რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებს კანდიდატის სხვა პიროვნულ ან პროფესიულ ნაკლოვანებებზე არ მიუთითებიათ. **5. ფინანსური ვალდებულება**

			მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, ქეთევან მესხიშვილს საკრედიტო, ან სხვა სახის მიმდინარე ვადაგადაცილებული ფინანსური (მათ შორის ბიუჯეტის მიმართ) ვალდებულება არ გააჩნია. როგორც უკვე აღინიშნა, შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში კანდიდატმა დაუშვა ერთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელები (ჯარიმა) გადახდილი აქვს კეთილსინდისიერად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. საბოლოოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ ვლინდება კანდიდატის კეთილსინდისიერების ეჭვქვეშ დაყენების რაიმე საფუძველი. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20	<u>სამართლის ნორმის ცოდნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი ორ სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების, ერთ განსხვავებულ აზრს, მის მიერ წარმოდგენილი ნაშრომის ანალიზს, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებასა და კანდიდატთან ჩატარებული უშუალო</u>

			<u>გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას.</u> აღნიშნულზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ქეთევან მესხიშვილი ძალიან კარგად ფლობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო და მატერიალური სამართლის თეორიულ საფუძვლებს, ასევე საერთაშორისო ნორმებს. ის ზუსტად და სიღრმისეულად აღიქვამს გამოყენებული სამართლებრივი ნორმების შინაარსსა და დანიშნულებას. წარმოდგენილ გადაწყვეტილებებში დასმული სამართლებრივი პრობლემების გადაჭრისას გამოყენებულია სამართლის ნორმათა ლოგიკური და ტელეოლოგიური განმარტების მეთოდები. აგრეთვე აღსანიშნავია, ის რომ წარმოდგენილ განსხვავებულ აზრში კანდიდატს, ნათლად და გასაგებად აქვს დასაბუთებული თუ რაში გამოიხატებოდა მისი განსხვავებული აზრი, დასაბუთების ნაწილში აგრეთვე მნიშვნელოვანია ის, რომ მოშველიებული აქვს სხვადასახვა საერთაშორიოს გადაწყვეტილებები, რომლითაც იგი ამყარებს და დამაჯერებელს ხდის თავის განსხვავებულ აზრს. ხოლო წარმოდგენილ ნაშრომში დიფამაცია (ქართული და ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით) კარგად ჩანს კანდიდატის მსჯელობა დასმულ საკითხთან მიმართებაში. მიმაჩნია, რომ კანდიდატი კარგად არის გათვითცნობიერებული და სიღრმისეულად ერკვევა არა მხოლოდ ეროვნული სასამართლოს, არამედ ზოგადად სასამართლოს მიერ მართლმსჯულების განხორციელების პრობლემურ საკითხებში. ის საკმაოდ ვრცლად, კონკრეტული საქმეებისა და ლიტერატურის მოშველიებით ასაბუთებს, წამოჭრის საკითხებს. აღნიშნულიდან გამომდინარე და მათ შორის გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატს გააჩნია სამართლის მთელი რიგი საკითხების მეცნიერული ცოდნა, როგორც ეროვნული ასევე,

			საერთაშორისო სამართალიდან. კანდიდატის პიროვნულ და პროფესიულ თვისებები, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში თეორიული ცოდნა და პრაქტიკაში მის გამოყენების შესაძლებლობები საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელ საბჭოს პოზიტიურად აქვს შეფასებული.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი ორ სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების, ერთ განსხვავებულ აზრს, მის მიერ წარმოდგენილი ნაშრომის ანალიზს, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებასა და კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას და მისი პროფესიული გამოცდილების შეფასებას.</u> მიმაჩნია, რომ შესწავლილ გადაწყვეტილებებში, განსხვავებულ აზრში და წარმოდგენილ ნაშრომში კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით არგუმენტირებულია დამაჯერებლად და დასაბუთებულია კვალიფიციურად. თვალსაჩინოა, რომ კანდიდატის მიერ მითითებული დასკვნები მოყვანილი ფაქტობრივი და სამართლებრივი არგუმენტებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს. ასევე, გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების გათვალისწინებით ჩემი აზრით, კანდიდატს შეუძლია ცალკეულ სამართლებრივ საკითხზე არსებული

			სასამართლო პრაქტიკის, შიდასახელმწიფო და საერთაშორისო კანონმდებლობის სწორი შედარებითი და საგნობრივი ანალიზი, რაც მას აძლევს საშუალებას საკუთარი დასკვნის საფუძვლიანად და მყარად ჩამოყალიბებაში. ქეთევან მესხიშვილს 15 წლიანი პროფესიული გამოცდილება მოიცავს საერთო სასამართლოებში მათ შორის პედაგოგიურ საქმიანობას. ქეთევან მესხიშვილს გააჩნია 10 წლიანი სამოსამართლო საქმიანობის პრაქტიკა. ამჟამად გამწესებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ.
წერის უნარი	**18**	**20**	<u>წერის უნარის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილ ორ სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების, ერთ განსხვავებულ აზრს, მის მიერ წარმოდგენილი ნაშრომის ანალიზს, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> კანდიდატის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალა შესრულებულია გამართული ქართულით და იკითხება კარგად. მიუხედავად განხილული საკითხების სირთულისა, აზრი ნათლად და გარკვევით არის გადმოცემული. იურიდიული ტერმინოლოგია ბუნებრივად არის ჩართული საერთო ენობრივ კონტექსტში. მიმაჩნია, რომ წერილობითი მასალა დაინტერესებული პირისათვის რთულად აღსაქმელი არ არის. შესწავლილ მასალაში თვალსაჩინო გრამატიკული ან რედაქციული ხასიათის შეცდომები არ გამოვლენილა.

			კანდიდატის წერის უნარი პოზიტიურად აქვს დახასიათებული როგორც იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს, ასევე რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებსაც, ამასთან რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ ქეთევან მესხიშვილს გააჩნია რთული სამართლებრივი მსჯელობის და სამართლებრივი დასაბუთების გასაგებად ჩამოყალიბების უნარი.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15	<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> შედეგად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი მეტყველებს გარკვევით, საუბრისას საკმაოდ მშვიდი და გაწონასწორებულია. გააჩნია დასმული შეკითხვის არსის სწორად აღქმისა და სხვის მიერ გამოთქმული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. ჩემი აზრით, საკუთარ მოსაზრებას საკმაოდ ლაკონიურად და ცხადად გადმოსცემს. მისი მსჯელობა თანმიმდევრული და ლოგიკურად გამართულია. მას შეუძლია სამართლის მატერიალური და საპროცესო ნორმების სიღრმისეული ცოდნის გათვალისწინებით დაიცვას საკუთარი პოზიცია კონსტრუქციული მსჯელობის ფარგლებში. ზოგადად, დატოვა მოწესრიგებული, კორექტული და კომუნიკაბელური ადამიანის შთაბეჭდილება. კანდიდატის ზეპირი კომუნიკაციის უნარი პოზიტიურად აქვთ დახასიათებული რეკომენდატორებსა და გამოკითხულ

			პირებსაც. ამასთან აღნიშნავენ, რომ დისკუსიისას ქეთევან მესხიშვილი აზრს გამოთქვამს მკაფიოდ და მოხერხებულად, ხოლო მისი, როგორც მოსამართლის მოსაზრებებს ყოველთვის კეთილგანწყობილი და გააზრებული ტონით, თუმცა, იმავდროულად დიდი შინაგანი სიმტკიცითა და სიცხადით გადმოსცემს.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15	<u>პროფესიული თვისებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოწოდებულ სტატისტიკურ მონაცემებს (2017 წლის ნოემბრიდან 2020 წლის პირველი ნოემბრის მდგომარეობით) რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად: ქეთევან მესხიშვილს საანგარიშო 916 დღეში დასრულებული აქვს 863 საქმე (დღეში საშუალოდ 1 საქმე), რაც მისი დატვირთულ რეჟიმზე მეტყველებს. ამ პირობებში კანდიდატს აქვს საქმის განხილვის საერთო საპროცესო ვადის დაცვის (73,8%) საშუალო და გადაწყვეტილების მომზადების ვადის დაცვის (75%) საშუალო მაჩვენებლები. ამავდროულად, აქვს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის (90,2%) მაღალი მაჩვენებელი. აღნიშნულის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატი ხარისხიანად ასრულებს სამოსამართლო უფლებამოსილებას. რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ქეთევან მესხიშვილს შეუძლია მოახდინოს კონცენტრაცია და თავის

			შესაძლებლობების მობილიზება. ამასთან იგი გამოირჩევა პუნქტუალირობით და დროის რაციონალური გამოყენების უნარით. კანდიდატის პროფესიული თვისებები პოზიტიურად აქვს შეფასებული იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოსაც.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	<u>აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, მოპოვებულ ინფორმაციას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> ქეთევან მესხიშვილმა 2004 წელს ჩააბარა ადვოკატთა ტესტირება სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით, იმავე წელს ჩააბარა პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა. 2005 წელს ჩააბარა მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციაში. ყოველივე ხსენებულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი მრავალმხრივ რეალიზებული პროფესიონალია.
პროფესიული აქტივობა	5	5	<u>პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.</u> კანდიდატი ბოლო წლების განმავლობაში ინტენსიურად მონაწილეობდა სამართლებრივი სისტემისა და

			მართლმსაჯულების საკითხებზე მოწყობილ შეხვედრებსა და სემინარებშიც (გავლილი აქვს 4-ზე მეტი ტრენინგი, 5 სასწავლო კურსი, 2 სტაჟირება და დაესწრო 30-ზე მეტ სემინარს). ამასთან ტრენინგების ჩატარების მიზნით მიწვეული იყო არაერთ ორგანიზაციაში და დაწესებულებაში ტრენერად. კანდიდატი სამოსამართლო პრაქტიკის პარალელურად ახორციელებს არაერთ უნივერსიტეტში პედაგოგიურ და აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას. ქეთევან მესხიშვილი არის მრავალი მონოგრაფიის, სტატიის, ნაშრომის და წიგნების ავტორი და თანაავტორი.
ქულათა ჯამი	92	100	

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი : 27.05.21

ხელმოწერა:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ქეთევან მესხიშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**19**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**19**	**20**
წერის უნარი	**20**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**15**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**12**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**5**	**5**
პროფესიული აქტივობები	**5**	**5**
ქულათა ჯამი	**95**	**100**

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი: 28.05.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ნინო ქადაგიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 გადაწყვეტილებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - ქეთევან მესხიშვილის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. **პროცედურის შესახებ:**

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

1.2. საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა 50 პირი, მათ შორის - ქეთევან მესხიშვილი.

1.3. საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია პროცედურაში მონაწილე კანდიდატთა შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმოგვედგინა საბჭოს წევრებს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

1.4. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ კანდიდატთა შეფასების წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით;

1.5. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36^3 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და, ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, შევადგინე საბოლოო დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ. ყოველი მახასიათებლის მიხედვით შეფასება დავაფუძნე კანონმდებლობით განსაზღვრული ცალკეული კომპონენტების ანალიზსა და შეჯერებას, შემდეგნაირად: თუ კანდიდატი ყველა ამ კომპონენტის მიმართ დადებითად შეფასდა, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,სრულად აკმაყოფილებს" მახასიათებელს; თუ კომპონენტებიდან არაუმეტეს ორის მიმართ შეფასება უარყოფითი იყო, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,აკმაყოფილებს" მახასიათებელს; ხოლო თუ სამი ან მეტი კომპონენტის შეფასება აღმოჩნდა უარყოფითი, მივიჩნიე, რომ კანდიდატი ,,არ აკმაყოფილებს" მახასიათებელს.

1.6. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 (შვიდი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების გზით.

I. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ

სახელი, გვარი - **ქეთევან მესხიშვილი**

ასაკი: **39 წლის**

დაბადების თარიღი: **5 დეკემბერი, 1981წ.**

განათლება: **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - უმაღლესი იურიდიული, მაგისტრთან გათანაბრებული; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - დოქტორის აკადემიური ხარისხი 2010 წ.**

სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: **15 წელი**

სამუშაო ადგილი: **თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე**

II. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით</u> მოსამართლეობის კანდიდატის, ქეთევან მესხიშვილის, შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:

1. *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;*
2. *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;*
3. *პიროვნული და პროფესიული ქცევა;*
4. *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;*
5. *ფინანსური ვალდებულება.*

1. პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელი

- კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის,

კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის მიხედვით:

- რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის პასუხისმგებლობას, გულისხმიერებას, დამოუკიდებლობას, მაღალ პიროვნულ და პროფესიულ ავტორიტეტს, მიუკერძოებლობას, სიმტკიცეს, კომუნიკაბელურობას. რეკომენდატორები კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებზე არ უთითებენ.

- გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

- კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია. წარმოდგენილი ინფორმაციით არ იკვეთება კანდიდატის სხვა შეუსრულებელი ვალდებულების არსებობის ფაქტი. დეკლარაციის შევსებისას კანონის მოთხოვნის დარღვევის ფაქტი გამოვლენილი არ არის.

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ნოემბრის ჩათვლით, ფიქსირდება 1 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა (ასკ-ის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილი - „გაჩერება აკრძალულია", ჯარიმა 10 ლარი, გადახდილია დროულად).

მოძიებული ინფორმაცია მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.

<u>2. დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, შემომწირველი ან/და მხარდამჭერი. კანდიდატს აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების ცოდნა და უნარი.

შესაბამისად, მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს დადებითად.

მითითებული მოსაზრებიდან გამომდინარე, ამ მახასიათებელში კანდიდატს შევაფასებ დადებითად.

<u>3. პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა

კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

- სასამართლოს მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ქეთევან მესხიშვილი იყო მოპასუხე ერთ ადმინისტრაციულ საქმეზე (3/1692-19, დავის საგანი - ზიანის ანაზღაურება). თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 21 ივნისის განჩინებით, ხარვეზის შეუვსებლობის გამო, სარჩელი არ იქნა წარმოებაში მიღებული.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და ეთიკის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, კანდიდატის მიმართ 2017 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ნოემბრამდე დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა.

- კანდიდატის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობა არ ფიქსირდება, ამასთან, არ წარმოდგენილა ინფორმაცია მისი დაზარალებულად ცნობის თაობაზე.

მითითებული მახასიათებლის შეფასების პროცესში უნდა შევეხო კანდიდატის პასუხს ჩემს მიერ დასმულ კითხვაზე: როგორია მისი ხედვები სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლების თვალსაზრისით. ცალსახად ვიზიარებ კანდიდატის სურვილებს სასამართლო სისტემაში საზოგადოების ნდობის ამღალების მიზნით, რიგი ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობის თაობაზე და ვთვლი, რომ ამ თვალსაზრისით თითოეული ინდივიდუალური მოსამართლის თავისუფალი აზრი არის პროცესების გამჭვირვალობის ძლიერი ინდიკატორი, თუმცა, იმ პირობებში, როდესაც უშუალოდ კანდიდატის მხრიდან, მისი სამოსამართლო საქმიანობის 10 წლის განმავლობაში, საჯაროდ დაფიქსირებული არ ყოფილა განსხვავებული ხედვები და ამას კანდიდატი ხსნის საკუთარი პროფესიული ,,მოუმწიფებლობით", მინიმუმ არაეთიკურია მისი მხრიდან სასამართლო კორპუსის სრული შემადგენლობის არაპრინციპულობაზე საუბარი. მიმაჩნია, რომ მოსამართლეს ყოველთვის უნდა შესწევდეს საკუთარი პოზიციის დაცვისა და დასაბუთების უნარი, ჰქონდეს საკუთარი, თუნდაც მკვეთრად კრიტიკული პოზიცია სისტემურ პრობლემებზე, თუ ის ამას ხედავს, თუმცა ყოველთვის უნდა იყოს კორექტული კოლეგების მიმართ და მოერიდოს საკუთარი ხედვების გამონაკლისის გარეშე ყველა მათგანზე განზოგადებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ვთვლი, რომ ამ მახასიათებელში კანდიდატს ვერ შევაფასებ დადებითად.

<u>4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - მხედველობაში მიიღება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია, ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი, ხარისხი და სხვა.

კანდიდატი წლების განმავლობაში ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, არის არაერთი სახელმძღვანელოს ავტორი (თანაავტორი), იურიდიულ წრეებში სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით. გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ რეკომენდატორები და გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატს ახასიათებენ ძალიან კარგად. მას აქვს მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაცია, რაც მაძლევს საფუძველს, მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი მივიჩნიო დადებითად.

<u>5. ფინანსური ვალდებულებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ.

ფინანსური ვალდებულებების შემოწმებისას არ გამოვლენილა ის შესაძლო საფრთხეები, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კანდიდატის პატიოსნება, მიუკერძოებლობა და მისი რეპუტაცია. ამდენად, ამავე მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს დადებითად.

ზემოაღნიშნული მახასიათებლებიბს ანალიზისა და შეჯერების შედეგად მივიჩნევ, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

<u>III. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით</u>

<u>კომპეტენტურობის კრიტერიუმით</u> მოსამართლეობის კანდიდატის, ქეთევან მესხიშვილის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:

1. *სამართლის ნორმების ცოდნა;*
2. *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*
3. *წერის უნარი;*
4. *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*
5. *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;*
6. *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
7. *პროფესიული აქტივობა.*

1. სამართლის ნორმების ცოდნა

ჩემ მიერ შეფასებულ იქნა ქეთევან მესხიშვილის მონაწილეობით განხილული შემდეგი საქმეები:

- საქმე №2ბ/6095-18, დავის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.
- საქმე №2ბ/6870-13, დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა.

გავეცანი №2ბ/5068-13 სამოქალაქო საქმეზე სესხის ხელშეკრულების პასუხისმგებელი სუბიექტის შესახებ ქეთევან მესხიშვილის მიერ მომზადებულ განსხვავებულ აზრს და მის

მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციას, თემაზე: დიფამაცია ქართული და ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით.

ასევე გავაანალიზე გასაუბრებაზე დასმულ შეკითხვებზე კანდიდატის მიერ გაცემული პასუხები და მიმაჩნია, რომ ქეთევან მესხიშვილი ხასიათდება მაღალი პროფესიონალიზმით, აქვს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ღრმა ცოდნა. სრულყოფილად იცნობს და იყენებს არამხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას და პრეცედენტებს, არამედ იცნობს გერმანიის უმაღლესი ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს პრეცედენტულ საქმეებზე, რაც მეტ დამაჯერებლობას მატებს მის შეფასებებს.

გასაუბრების პროცესში გამოვლინდა, რომ კანდიდატი, სამოქალაქო სამართლის გარდა, კარგად ერკვევა კონსტიტუციურ სამართალში, ასევე პოზიტიური სამართლის ასპექტებში. ახდენს ადამიანის უფლებათა დაყოფას თაობებად, რაც მიღებულია ადამიანის უფლებათა თეორიაში. კარგად იცნობს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს. კითხვების ძირითადი ნაწილი მისი მხრიდან არის სრულყოფილად პასუხგაცემული.

მინდა შევეხო კანდიდატის ხედვებს ნორმის contra legem განმარტების ნაწილში. პირადად, მხოლოდ მივესალმები მოსამართლის ინტელექტუალური საქმიანობისათვის ფართო სივრცის მინიჭებას, მაგრამ სამართლებრივი ვაკუუმის და შეფასებითი ნორმების არსებობის პირობებში და არა იმ შემთხვევაში, როცა ნორმა არის იმპერატიული და სრულად განსაზღვრული. ვთვლი, რომ ნორმის განმარტების შემთხვევაში, მოსამართლის მიდგომა არ შეიძლება იყოს ძალიან ფართო და გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ ნორმის კონსტიტუციურ პრინციპებთან ცალსახა წინააღმდეგობის გამოვლენის პირობებში. Contra legem განმარტება, ნორმას უკარგავს მარეგულირებელ საწყისს, რის გამოც, როგორც უკვე აღვნიშნე, ნორმის მსგავსი განმარტება გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იშვიათ, საგამონაკლისო შემთხვევაში. აღნიშნული შესაძლებელს გახდის, ნორმამ შეინარჩუნოს საკუთარი იმანენტური თვისება - განსაზღვრულობა და შეიქმნას მოსამართლის თვითნებობის ჩამკეტი მექანიზმი.

მიუხედავად იმისა, რომ ნორმის Contra legem განმარტების გამოყენების ნაწილში ჩემი და კანდიდატის ხედვები არ არის სრულ თანხვედრაში, კანდიდატი განმარტების პროცესში არის მეტად თავისუფალი და იჩენს ნაკლებ სიფრთხილეს, თუმცა ის საინტერესოდ ხსნის განმარტების სუბიექტური თეორიის გამოყენების საჭიროებას, მისი მსჯელობა და არგუმენტაცია არის ლოგიკური და დამაჯერებელი.

რამოდენიმე საკითხზე კანდიდატის მიერ გაცემული პასუხები არ იყო სრულყოფილი და ამომწურავი (მაგ. კანდიდატი არ იცნობს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას განსჯადობის კუთხით; არასრული იყო პასუხი სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ აღიარებასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე და შეკითხვაზე, რომელიც უკავშირდებოდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ" ქვეპუნქტის ამორიცხვის საკითხს).

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 19 ქულით.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებელი

ქეთევან მესხიშვილს გააჩნია მოსამართლედ მუშაობის 10 წლიანი გამოცდილება, რაც მიუთითებს მის პროფესიულ კვალიფიკაციაზე. მისი მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გამოირჩევა დასაბუთების მაღალი სტანდარტით, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილებებში კომპლექსური მოსაზრებები გადმოცემულია რთული ენით, გადატვირთულია სპეციალური იურიდიული ტერმინოლოგიით, რაც ძირითადად მიემართება იურიდიული საზოგადოებისადმი და ხშირ შემთხვევაში ძირითადი ადრესატისთვის - მხარეებისთვის, მასში განვითარებულ მოსაზრებები ხდება ნაკლებ აღქმადი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 19 ქულით.

3. წერის უნარის მახასიათებლი

კანდიდატის წერის უნარის შეფასება მოვახდინე მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების და სამეცნიერო ნაშრომების შესწავლის საფუძველზე და აღნიშნული კომპონენტის შეფასების ნაწილში უპირატესობა მივანიჭე ქეთევან მესხიშვილის ნაშრომებს და პუბლიკაციებს, რომელიც შესრულებულია წერის მაღალი აკადემიური სტილის დაცვით.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 20 ქულით.

4. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებელი

კანდიდატი გამოირჩევა მეტყველების მაღალი კულტურით, აზრს აყალიბებს ნათლად და გასაგებად, საუბრობს აკადემიურად, არის დამაჯერებელი. აქვს მოსმენის კულტურა.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 15 ქულით.

5. პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის, მახასიათებელი:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში, ქეთევან მესხიშვილის მიერ განხილულ საქმეთა მაჩვენებელი შემდეგნაირია:

- საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით -73,8%, ვადის დარღვევით - 26.2%;
- გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით - 75%, ვადის დარღვევით -

25%;
- გასაჩივრებული გადაწყვეტილებათა სტაბილურობა: უცვლელი - 90.2%, შეცვლილი - 9.8%;
- საანგარიშო პერიოდში (863 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 916 საქმე, დღეში საშუალოდ - 1 საქმე.

კანდიდატის დატვირთულობიდან, საქმეთა სიმრავლიდან და მათი განხილვის მაჩვენებლებიდან გამომდინარე, კანდიდატი შეიძლება შეფასდეს გულმოდგინედ და შრომისმოყვარედ. კანდიდატის გასაჩივრებული გადაწყვეტილებების სტაბილურობის მაჩვნებელი არ არის დაბალი.

გასაუბრების ეტაპზე კანდიდატმა მიუთითა, რომ განსხვავებულ აზრს აფიქსირებს მხოლოდ იმ საქმეებზე, რომელიც ექცევა „საზოგადოების მაღალ ინტერესში" და არის „სენსიტიური".

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები მოსამართლეს ავალდებულებს, გადაწყვეტილება მიიღოს ფაქტების მიუკერძოებელი და ობიექტური შეფასებით, იმაზე ფიქრის გარეშე, თუ რამდენად პოპულარული იქნება მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

გასაუბრების პროცესში კანდიდატის მხრიდან „საზოგადოების მაღალ ინტერესზე" და საქმის „სენსიტიურობაზე" არაერთგზის გაკეთებული მითითება წარმოშობს საფუძვლიან ეჭვს, რომ კანდიდატის მიდგომა საქმეების, შესაბამისად მასში მონაწილე მხარეების მიმართ არ არის ერთგვაროვან, რაც, ჩემი მოსაზრებით, ეწინააღმდეგება მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპებს.

უშუალოდ სხდომათა დარბაზში, ქეთევან მესხიშვილის მხრიდან არ გამოვლენილა ქცევის წესებისა და მოსამართლისათვის შეუფრებელი ან არაეთიკური ქმედების ჩადენის ფაქტი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 12 ქულით.

6. აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებელი

წარმოდგენილი ინფორმაციით დასტურდება, რომ მიუხედავად საქმეთა სიმრავლისა, კანდიდატი აქტიურად ესწრება სხვადასხვა ტრენინგებს და სასწავლო კურსებს, აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. კანდიდატი მიღებულ ცოდნას იყენებს როგორც სამოსამართლო, ისე პედაგოგიურ საქმიანობაში.

კანდიდატს მიღებული აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 5 ქულით.

7. პროფესიული აქტივობის მახასიათებელი

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს არაერთ შეხვედრასა თუ დისკუსიაში, არის ავტორი (თანაავტორი) არაერთი პუბლიკაციისა და წიგნის, რომლებიც გამოყენებადია პრაქტიკული და თეორიული მიზნებისათვის.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 5 ქულით.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატს ჯამში ვაფასებ - 95 ქულით.

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი : 28.05.2021 წ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ქეთევან მესხიშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	20	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	97	100

სახელი, გვარი: თამარ ღვამიჩავა

თარიღი: 28.05.2021.

თამარ ღვამიჩავა - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **ქეთევან მესხიშვილის შეფასება.**

2020 წლის 10 დეკემბერს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულების საფუძველზე, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატად დარეგისტრირდა 50 კანდიდატი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულების საფუძველზე.

გავეცანი კონკურსში მონაწილე კანდიდატის თაობაზე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით მოპოვებულ ინფორმაციას, რომელიც გასაცნობად წარედგინა საბჭოს თვითოეულ წევრს. ასევე მონაწილეობა მივიღე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ **ქეთევან მესხიშვილის** საჯარო მოსმენაში, რომელიც გაიმართა **2020 წლის 28 დეკემბერს.** იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს როგორც სამართლებრივი ასევე ზოგადი ხასიათის შეკითხვები. საჯარო მოსმენის ამსახველი ვიდეო-ჩანაწერის ნახვა შესაძლებელია მითითებულ ლინკზე - https://www.youtube.com/watch?v=0jmHEDLI0FY

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი **ქეთევან მესხიშვილი** არის მოქმედი მოსამართლე, შესაბამისად მისი შეფასება განხორციელდა ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით სამოსამართლო გამოცილების მქონე კანდიდატის შეფასებისათვის დადგენილი წესის საფუძველზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ **ქეთევან მესხიშვილის** კეთლსინდისიერების კრიტერიუმის შეფასებისას გავითვალისწინე ზემოაღნიშნული კრიტერიუმის მახასიათებლები. შესაბამისად კანდიდატი შეფასდა ორგანული კანონის 36^3 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 მახასიათებლის მიხედვით და ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე.

ასევე კანდიდატის შეფასება განხორციელდა ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ქულის დასაბუთებულობის საფუძველზე.

- **საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია კანდიდატის შესახებ.**

კანდიდატი ქეთევან მესხიშვილი გახლავთ 39 წლის. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, ხოლო დოქტორის აკადემიური ხარისხი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ). სპეციალობით მუშაობს 15 წელია, აქედან - 10 წელი მოსამართლედ: 2010 წლის 1 დეკემბრიდან დაინიშნა სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ, 10 წლის ვადით; დანიშვნის მომენტიდან 2012 წლის 1 იანვრამდე, მივლინების საფუძველზე, უფლებამოსილებას ახორციელებდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში; 2012 წლის 1 იანვრიდან დაინიშნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ, თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში; ხოლო 2020 წლის 1 დეკემბრიდან განწესდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

სამი რეკომენდატორი (მათ შორის - ერთი უცხოელი რეკომენდატორი) გამოარჩევს კანდიდატის პასუხისმგებლობას, გულისხმიერებას, დამოუკიდებლობას, მაღალ პიროვნულ და პროფესიულ ავტორიტეტს, მიუკერძოებლობას, სიმტკიცეს; აღნიშნავენ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების სიღრმისეულ ცოდნას, კომუნიკაბელურობას; უთითებენ, რომ მისი ნააზრევი ყოველთვის ლოგიკური და უზადოდ არგუმენტირებულია.
კითხვარის სტანდარტული ფორმით, გამოიკითხა 2 რესპონდენტი: ისინი აცხადებენ, რომ კარგად იცნობენ კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას; მათი აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

კანდიდატ ქეთევან მესხიშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული უამრავ პროფესიულ-სასწავლო ღონისძიებაში (სტაჟირება, სასწავლო კურსები, ტრენინგები, სემინარები), სამართლის სხვადასხვა დარგების და თემების მიხედვით (მაგ: შრომის სამართლის საერთაშორისო სტანდარტები; შრომითი მიგრაცია და ევროპული სამართალი; მომხმარებელთა უფლებები ევროკავშირის სამართლის მიხედვით; სამოქალაქო სამართლის აქტუალური საკითხები; დისტანციური სწავლების მეთოდოლოგია; ბუნდოვანი სამოქალაქო სამართლებრივი საკითხების ანალიზი გერმანული პერსპექტივით; კანდიდატთა და მოსამართლეთა განგრძობადი განათლება; ადამიანის უფლებათა სტანდარტები ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით; ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ 1980 წლის ჰააგის კონვენცია; სამეწარმეო სამართალი; ინტელექტუალური სამართალი და სასამართლო პრაქტიკა; სამოსამართლო ეთიკა; რელაციის მეთოდი, გადაწყვეტილების სტრუქტურა და დასაბუთება; უსაფუძვლო გამდიდრება და ა.შ.).
კანდიდატს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით, ჩაბარებული აქვს 2005 წლის 18 ივნისს; ასევე - 2004 წლის 20 სექტემბერს გავლილი აქვს ადვოკატთა ტესტირება, სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით და იმავე წლის 26 სექტემბერს ჩაბარებული აქვს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

კანდიდატი 2005 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ:
- 2005-2006 წლებში იყო საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი საერთაშორისო სამართლის მიმართულებით;
- 2007-2012 წლებში იყო ასისტენტ-პროფესორი, ხოლო 2012-2014 წლებში ასოცირებული პროფესორი კავკასიის უნივერსიტეტში, კერძო სამართლის მიმართულებით;
- 2014 წლიდან დღემდე არის თავისუფალი უნივერსიტეტის სრული პროფესორი კერძო სამართლის მიმართულებით;
- 2015 წლიდან დღემდე არის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მასწავლებელი.
კანდიდატი ასევე მონაწილეობდა სხვადასხვა ავტორიტეტული სუბიექტის (GIZ, EWMI PROloG, OSGF და სხვ) მიერ ორგანიზებულ მრავალ ღონისძიებაში (თემები: „საკუთრების უფლების მნიშვნელოვანი ასპექტები"; „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვა"; „მემკვიდრეობითი სამართალი"; „სანოტარო საქმე და სასამართლო პრაქტიკა"; „ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის სამართლებრივი ასპექტები"; „სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების ტექნიკა"; „გადახდისუუნარობის საქმის წარმოება"; ,,შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები და პანდემია" და სხვ), მოწვეული ექსპერტის სტატუსით.

კანდიდატი ქეთევან მესხიშვილი ავტორია/თანავტორია მრავალი სახელმძღვანელოს, სტატიისა თუ სამეცნიერო პუბლიკაციის (მაგ: „კერძო სამართლის აქტუალური საკითხები", 2020წ; „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება", 2020წ; „გადახდისუუნარობის სამართალი", 2020წ; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, 2016წ.; შრომის სამართლის სახელმძღვანელო, 2016წ; „ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში", 2010წ.; პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2010წ. და ა.შ.).

კანდიდატ ქეთევან მესხიშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ აქვს; აქვს მიმდინარე საბანკო სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორიით; უძრავი ქონება საკუთრებაში არ გააჩნია და არ ეწევა სამეწარმეო საქმიანობას.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, ქეთევან მესხიშვილი ერთხელ იქნა დაჯარიმებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის (საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა); ჯარიმა გადახდილია დროულად.
მის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა.
კანდიდატი ერთხელ იყო დასახელებული მოპასუხედ ადმინისტრაციულ საქმეზე (№3/1692-19), თუმცა - სარჩელი არსებითად არც განხილულა.
კანდიდატი დაზარალებულად სისხლის სამართლის რაიმე საქმეზე ცნობილი არ ყოფილა.
კანდიდატი ასევე არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი/შემომწირველი.

კანდიდატმა ქეთევან მესხიშვილმა წარმოადგინა მის მიერ სამოქალაქო საქმეებზე გამოტანილი 2 გადაწყვეტილება, 1 პუბლიკაცია (,,დიფამაცია ქართული და ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით") და 1 განსხვავებული აზრი.

2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე, მოსამართლე ქეთევან მესხიშვილმა საპროცესო ვადების დაცვით განიხილა საქმეთა 73.8%; გადაწყვეტილება ვადის დაცვით მოამზადა საქმეთა 75%-ზე; გასაჩივრების შემდეგ, მის გადაწყვეტილებათა 90.2% დარჩა უცვლელი; საანგარიშო პერიოდში (863 დღე) დაასრულა 916 საქმე, ანუ - დღეში საშუალოდ 1 საქმე.

- **კანდიდატ შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით.**

კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციის გაცნობისას ჩანს, რომ იგი ფინანსურ და სხვა მოქალაქეობრივ ვალდებულებებს კეთილსინდისიერად და ჯეროვნად ასრულებს, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმა (მოძრაობის წესების დარღვევების თაობაზე) კანდიდატის მიერ გადახდილია კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. კანდიდატს აქვს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა, იმიჯი. იგი გამოირჩევა პრინციპულობით, მედეგობით, სამართლიანობით, მიუკერძოებელობით, გააჩნია ემოციების მართვის უნარი, იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს, კორექტული და თავდაჭერილია. მაღალი რეპუტაციით სარგებლობს, როგორც მოსმართლეების ასევე სამენიერო საზოგადოებასა და სტუდენტებს შორის. ასევე, საჯარო მოსმენის შედეგად არ გამოვლენილა რაიმე გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს. შესაბამისად, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

- **კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით.**

-კანდიდატის შესახებ არსებული დოკუმენტების და საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია - **სამართლის ნორმების ცოდნა.**

კანდიდატის საჯარო მოსმენის დროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ დასმულ სამართლებრივ შეკითხვებზე პასუხები იყო თანმიმდევრული, დასაბუთებული და ეფუძნებოდა სწორ სამართლებრივ შეფასებებს.

კანდიდატის შესახებ არსებული დოკუმენტების და ასევე მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, კარგად იცნობს კანონმდებლობას, როგორც მატერიალურ ასევე პროცესუალურ ნორმებს, ადამიანის უფლებების სამართალს, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. მოსამართლეობის კანდიდატი მის მიერ წარმოდგენილ

გადაწყვეტილებებში იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვან პრაქტიკას.

საჯარო გასაუბრებისას ნათლად წარმოჩინდა, რომ მოსამართლეს აქვს ჩამოყალიბებული ხედვა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად გადასადგმელი ნაბიჯების შესახებ, რაც საგულისხმო და დასაბუთებულია.
შესაბამისად, კანდიდატი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული **სამართლის ნორმების ცოდნის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **20 ქულით.**

-კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისათვის ვიხელმძღვანელე როგორც მის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებებით, ასევე საჯარო მოსმენისას წარმოჩენილი ცოდნის დონით.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებები დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. დასაბუთებისას, მოსამართლე ახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას, უსადაგებს კანონის შესაბამის ნორმას და უზრუნველყოფს სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანას.

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა გამოავლინა კარგი ანალიტიკური აზროვნების, საკუთარი მოსაზრების დასაბუთების უნარი. ის, დამაჯერებლად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას აზრთა სხვადასხვაობისა თუ თანხვედრობის შემთხვევაში. კანდიდატი თავისუფლად მსჯელობდა სამართლებრივ საკითხებზე. შესაბამისად, კანდიდატი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული **სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **19 ქულით.**

-კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების გაცნობის შედეგად ვასკვნი, რომ მას გააჩნია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობის უნარი. შესაბამისად, ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული **წერის უნარის** მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შეფასდა **18 ქულით.**

-საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი, ის გამართულად, თავდაჯერებულად და აუღელვებლად მეტყველებს. დასმულ საკითხთან დაკავშირებით აზრს გადმოსცემს დამაჯერებლად, ნათლად და გასაგებად. საუბრისას ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელოვან გარემოებებზე. ასევე შეუძლია განსხვავებული აზრის მოსმენა. შესაბამისად კანდიდატი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული **ზეპირი კომუნიკაციის უნარის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **15 ქულით.**

-კანდიდატის თაობაზე მოძიებულ ინფორმაციასა და მის საჯარო მოსმენაზე დაყრდნობით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი არის მიზანდასახული, შრომისმოყვარე პიროვნება. აქვს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, არის კორექტული, თავდაჭერილი, სასამართლო სხდომას უძღვება სათანადოდ, კანდიდატს აქვს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი

ქცევა, იმიჯი, არის პრინციპული, მედეგი, კეთილსინდისიერი, მიუკერძოებელი, გააჩნია ემოციების მართვის უნარი, იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს.

შესაბამისად კანდიდატი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლის - **პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში** შეფასდა **15 ქულით.**

-კანდიდატის თაობაზე მოძიებულ ინფორმაციასა და მის საჯარო მოსმენაზე დაყრდნობით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს აქვს თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. მოპოვებული ინფორმაციით, კანდიდატს სამართლებრივ სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში აქვს მონაწილეობა მიღებული, რაც მიზნად ისახავს კვალიფიკაციის ამაღლებას და ცოდნის გაღრმავებას. შესაბამისად, კანდიდატი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული **აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **5 ქულით.**

კანდიდატი ახორციელებს სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას, აქედან გამომდინარე იგი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრული **პროფესიული აქტივობის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **5 ქულით.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ **ქეთევან მესხიშვილის** კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ჯამური შეფასება შეადგენს **97 ქულას.**

1. სამართლის ნორმების ცოდნა - **20 ქულა**
2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია -**19 ქულა**
3. წერის უნარი -**18 ქულა**
4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი - **15 ქულა**
5. პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში - **15 ქულა**
6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - **5 ქულა**
7. პროფესიული აქტივობა - **5 ქულა**

ქულათა ჯამი 97 ქულა

თარიღი: **28.05.2021 წ.**

ხელმოწერა:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ქეთევან მესხიშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	94	100

სახელი, გვარი: თამარ ონიანი

თარიღი: 27.05.2021

ქეთევან მესხიშვილი

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	<u>**კეთილსინდისიერების კრიტერიუმით**</u> საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის დადგენილი მახასიათებლები: **1. <u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესაბამისი შეგნება. კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, მას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, ქეთევან მესხიშვილი არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში, ჯეროვნად ასრულებს თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის მასზე დაკისრებულია მცირე ოდენობის ჯარიმა, დაკისრებული ჯარიმა კი კანდიდატს გადახდილი აქვს დროულად. ქეთევან მესხიშვილს რეკომენდატორები და სხვა
მოსამართლეობის კანდიდატი ნაწილობრივ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად. გამოარჩევენ კანდიდატის პასუხისმგებლობას, გულისხმიერებას, დამოუკიდებლობას, მაღალ პიროვნულ და პროფესიულ ავტორიტეტს, მიუკერძოებლობას, სიმტკიცეს; აღნიშნავენ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების სიღრმისეულ ცოდნას, კომუნიკაბელურობას, უთითებენ, რომ მისი ნააზრევი ყოველთვის ლოგიკური და არგუმენტირებულია და ა.შ.; რეკომენდატორები კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებზე არ მიუთითებენ. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ კანდიდატის პირად თვისებებსა და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად; მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი იყო თავშეკავებული, კორექტული. მისი ქცევა შეეფერებოდა მოსამართლის მაღალ სტატუსს. **2. <u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა. რეკომენდატორები და კოლეგები კანდიდატს აფასებენ, როგორც პრინციპულს, მიუკერძოებელს და სამართლიანს. კანდიდატი არასოდეს ყოფილა პოლიტიკური ჯგუფის მხარდამჭერი/წევრი/შემომწირველი. **3. <u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას

		ძირითადად გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, თავდაჭერილობა. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ქეთევან მესხიშვილის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. დაზარალებულად არ ყოფილა ცნობილი, კანდიდატი მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი იყო ერთ საქმეში. სასამართლოს მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ქეთევან მესხიშვილი იყო მოპასუხე ერთ ადმინისტრაციულ საქმეში (3/1692-19), დავის საგანი ზიანის ანაზღაურება. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სასამართლომ 2019 წლის 21 ივნისს მიიღო განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ. რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აღნიშნავენ, რომ იგი არის საქმისადმი ერთგული და გამოარჩევენ მის მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამის ქცევასა და იმიჯს, აღნიშნავენ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების სიღრმისეულ ცოდნას, კომუნიკაბელურობას, უთითებენ, რომ მისი ნააზრევი ყოველთვის ლოგიკური და არგუმენტირებულია. საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს, მისი პიროვნული და პროფესიული ქცევა შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას. **4. <u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი.

		კანდიდატს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად, გამოარჩევენ კანდიდატის პასუხისმგებლობის გრძნობასა და კანონმდებლობის საფუძვლიან ცოდნას. კანდიდატი ეწეოდა და ახლაც ეწევა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. მას გამოქვეყნებული აქვს 24 სამართლებრივი სტატია და 5 წიგნი, მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა პროფესიულ შეხვედრაში, რაც მის პიროვნულ რეპუტაციას დადებითად წარმოაჩენს. ქეთევან მესხიშვილის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია. კერძოდ, ქეთევან მესხიშვილს განხილული აქვს საქმე, რომლებმაც მედიის ინტერესი გამოიწვია. ეს ეხება პეტრიაშვილის ნომერ 1-ში მდებარე შენობას. გარდა ამისა, ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც რუსთავი 2 -ის საქმე სხვა მოსამართლეს გადაეწერა. მედიამ გააშუქა მისი მონაწილეობა სტრასბურგის სასამართლოს მოსამართლის შერჩევის და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კონკურსში. გამოქვეყნდა ინფორმაცია მისი უვადოდ დანიშვნის თაობაზე. **5. <u>ფინანსური ვალდებულება</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ, რათა შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი კანდიდატის ქონებრივი ინტერესის მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას. მოძიებული ინფორმაციის გათვალისწინებით, ქეთევან მესხიშვილი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს

			ფინანსურ ვალდებულებებს, ფიქსირდება მცირედი ჯარიმები. იმავე ინფორმაციის მიხედვით, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის. შესაბამისად, ვფიქრობ, არ არსებობს მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების ისეთი გარემოება, რამაც შეიძლება, საფრთხე შეუქმნას მის მიუკერძოებლობას.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში სამართლის ნორმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, გამოყენების სისწორე. კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენისა და მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი ძალიან კარგად ფლობს სამოქალაქო სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. გასაუბრების მიმდინარეობისას გამოავლინა ეროვნული კანონმდებლობის თუ საერთაშორისო სამართლისა და პრაქტიკის ცოდნის მაღალი დონე. კანდიდატმა აჩვენა როგორც ეროვნული სასამართლოს, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტების სიღრმისეული ცოდნა. სამოქალაქო სფეროს მიკუთვნებული თითოეული საკითხი კანდიდატმა განიხილა კვალიფიციურად და

			ამომწურავად. გასაუბრებისას კანდიდატი თავისუფლად მსჯელობდა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე, მოჰყავდა კონკრეტული მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან. ჩანს, რომ ქეთევან მესხიშვილი აქტიურად ეცნობა როგორც ქვეყნის შიდა სასამართლო პრაქტიკას, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს. გასაუბრების დროს გამოჩნდა, რომ ქეთევან მესხიშვილმა კარგად იცის სამართლებრივი ტერმინოლოგია, სამართლის წყაროები, ევროკავშირის დირექტივები და სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტი. ქეთევან მესხიშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი), ადვოკატთა ტესტირება და პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა. იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი და მსმენელთა საერთო სალვალიფიკაციო სიაში უჭირავს 48-ე ადგილი.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა, ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება. კანდიდატთან გამართული საუბარი მოსმენისა და მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გათვალისწინებით კანდიდატი კარგად, მკაფიოდ და თანმიმდევრულად ავითარებს სამართლებრივ მსჯელობას სხვადასხვა საკითხზე. წარმოდგენილი დოკუმენტები არის დასაბუთებული. კარგად ჩანს, რომ მას საკითხი ესმის სიღრმისეულად და შეუძლია თავისუფლად, დამაჯერებლად მსჯელობა. ასევე დასაბუთების დროს იშველიებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს პრეცედენტებსა და სამართლის მეცნიერების მოსაზრებებს.

			გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით ჩანს, რომ კანდიდატს შეუძლია გამოკვეთოს შესაბამისი სამართლებრივი პრობლემა და არგუმენტირებული მსჯელობა განავითაროს ამ მიმართულებით. მიმაჩნია, რომ მას აქვს ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი.
წერის უნარი	19	20	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემა. მისი მსჯელობა არის რაციონალური, ლოგიკური და თანმიმდევრული. მისი სამართლებრივი დოოკუმენტებიდან ნათლად იკითხება ავტორის აზრი.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა. გასაუბრებიდან ჩანს, რომ კანდიდატი ფლობს ზეპირი კომუნიკაციის უნარს. მეტყველებს გამართულად და აზრს აყალიბებს თანმიმდევრულად. მას აქვს განსხვავებული აზრის მოსმენისა და მისი მიმღეობის უნარი. მისი საუბარი არის მარტივი გასაგები და მსმენელს შეუძლია გაიგოს ავტორის აზრი.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მისი პუნქტუალობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე,

			საპროცესო ვადების დაცვა. რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები მიიჩნევენ რომ კანდიდატი არის შრომისმოყვარე, პუნქტუალური და ა.შ. საქმის განხილვის საპროცესო ვადებს კანდიდატი ძირითადად იცავს (73,8%), მის მიერ განხილულ საქმეებზე გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების დაცვის მაჩვენებელი არის საშუალოზე მაღალი (75%). გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა წარმოადგენს 90,2 %-ს. კანდიდატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ რაიმე ინფორმაცია, რაც მისი მხრიდან სამოსამართლო უფლებამოსილების ჯეროვნად შესრულებასა და მხარეთა მხრიდან მის მიმართ დამოკიდებულების დადებითად შეფასების საფუძველს იძლევა.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ქეთევან მესხიშვილი პერიოდულად მონაწილეობს ტრენინგებსა და სემინარებში სხვადასხვა მიმართულებით, რაც მიუთითებს, რომ მზადაა, მიიღოს ახალი და მისთვის საჭირო და აუცილებელი ცოდნა და ინფორმაცია. სამოქალაქო სამართლის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით კანდიდატს ტრენინგი აქვს გავლილი გერმანიაში.
პროფესიული აქტივობა	5	5	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის

			დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციის და შეხედულების ღიად და თავისუფლად გამოხატვა, ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე. ქეთევან მესხიშვილი ეწევა აქტიურ სამეცნიერო და პედაგოგირ საქმიანობას თბილისის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, 2015 წლიდან არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის მასწავლებელი.
ქულათა ჯამი	94	100	

სახელი, გვარი: თამარ ონიანი

ხელმოწერა: თ. ონიანი

თარიღი: 27.05.2021

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ქეთევან მესხიშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20
წერის უნარი	17	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	92	100

სახელი, გვარი: ირაკლი ბონდარენკო

თარიღი: 29.05.21

ქეთევან მესხიშვილი

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - ქეთევან მესხიშვილის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით			კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		☐	**პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის კუთხით** უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის - ქეთევან მესხიშვილის შეფასებისას აღსანიშნავია კანდიდატის შესახებ მომზადებულ შემაჯამებელ ოქმში მოცემული რეკომენდატორებისა და რესპოდენტების მოსაზრებები, რომელთა მიხედვით, რესპოდენტები და რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის ისეთ თვისებებს, როგორიცაა პასუხისმგებლობა, გულისხმიერება, დამოუკიდებლობა, მაღალი პიროვნული და პროფესიული ავტორიტეტი, მიუკერძოებლობა, სიმტკიცე; აღნიშნავენ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების სიღრმისეულ ცოდნას, კომუნიკაბელურობას, უთითებენ, რომ მისი ნააზრევი ყოველთვის ლოგიკურია უზადოდ არგუმენტირებულია და ა.შ.; რეკომენდატორები კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს არ უთითებენ.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		☒	

		დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის კუთხით შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი პრინციპული და მიუკერძოებელია, გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისათვის საჭირო პიროვნული და პროფესიული უნარები, იგი კეთილსინდისიერი ადამიანი და შრომისმოყვარე პროფესიონალია. ხელთ არსებული ინფორმაცია არ იძლევა ქეთევან მესხიშვილის პოლიტიკური ან სხვაგვარი მიუკერძოებლობის ან განსხვავებული რელიგიური, რასობრივი, ეროვნული, ეთიკური კუთვნილების, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის ადამიანებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულების ეჭვქვეშ დაყენების საფუძველს. პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით შემოწმებისას გათვალისწინებული იქნა მისი როგორც მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, იგი თავდაჭერილი და ემოციურად გაწონასწორებული პიროვნებაა. კოლეგებს და სასამართლო პროცესის მონაწილეებს ეპყრობა თავაზიანად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურიდან და სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტიდან მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურული ქვედანაყოფის - მენეჯმენტის დეპარტამენტიდან და საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა.

		პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის კუთხით შეფასებისას გათვალისწინებული იქნა ისეთი გარემოებები, როგორიცაა მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, ქეთევან მესხიშვილი სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების პარალელურად ეწევა აკადემიურ და პედაგოგიურ საქმიანობას, მოსამართლე კოლეგებში სარგებლობს გაწონასწორებული ადამიანისა და მაღალკვალიფიციური იურისტის სახელით. მას ახასიათებენ განათლებულ პიროვნებად, პრინციპულ და გულმოდგინე პროფესიონალად სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას. **ფინანსური ვალდებულებების კუთხით** შეფასებისას აღსანიშნავია, რომ ქეთევან მესხიშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორიით, მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია არის შესაბამისობაში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მიმაჩნია, რომ მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი არ იკვეთება. ყოველივე ზემოთ აღნიშნული მახასიათებლების შეჯერებისა და გაანალიზებით შედეგად მივიჩნევ, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი - ქეთევან მესხიშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			კომენტარი
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა	
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20	**სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით შეფასებისას** განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კანდიდატის მატერიალური და საპროცესო ნორმების, ასევე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ნორმების ცოდნის მაღალი დონე. გასაუბრებისას მან თითქმის ყველა შეკითხვას გასცა სწორი და თანმიმდევრული პასუხი, თუმცა დაფიქსირდა გარკვეული ხარვეზები. ასევე, ქეთევან მესხიშვილმა ვერ გამოავლინა სიღრმისეული ცოდნა სისხლის სამართალში. ქეთევან მესხიშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით 18.06.2005 წ. იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მე-3 ჯგუფის მსმენელი და მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში მინიჭებული აქვს 48-ე ადგილი.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20	**სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის შეფასების კუთხით** გათვალისწინებულ იქნა კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ორი სასამართლო გადაწყვეტილება და ასევე განსხვავებული აზრი. უნდა ითქვას, რომ გადაწყვეტილებები დამაჯერებლად დასაბუთებულია. მოსამართლეს ყურადღების მიღმა არ აქვს დატოვებული მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები და თანმდევი მტკიცებულებები. ფაქტობრივ

			გარემოებებს ადექვატური სამართლებრივი შეფასება (კვალიფიკაცია) აქვს მიცემული. გადაწყვეტილებები ეფუძნება სამართლის არსებითად სწორ აღქმას. მოსამართლე საკუთარ პოზიციას ასაბუთებს ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით გამართულად.
წერის უნარი	17	20	**წერის უნარის კუთხით** კანდიდატის შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კონკურსის ფარგლებში მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან ერთად წარმოდგენილი იქნა მისი განსხვავებული აზრი და უნდა ითქვას, რომ ქეთევან მესხიშვილი საკუთარ მოსაზრებებს აყალიბებს ენობრივი (გრამატიკული) და პროფესიული თვალსაზრისით გამართულად, მისი წერილობითი მსჯელობა ძირითადად ლაკონური და ლოგიკურია. თუმცა კანდიდატი ხშირად იყენებს რთულ წინადადებებს, რაც ართულებს აზრის აღქმადობას.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15	**ზეპირი კომუნიკაციის კუთხით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი მეტყველებს გარკვევით და მშვიდად, სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმათა შინაარსს გადმოსცემს ადექვატურად. გააჩნია სხვისი აზრის, მათ შორის განსხვავებული აზრის მოთმინებით და ყურადღებით მოსმენის უნარიც. მის მიერ გამოთქმული ზეპირი მოსაზრებები არის ადვილად აღსაქმელი გარშემომყოფთათვის.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15	**პროფესიული თვისებების, მათ შორის სასამართლო დარბაზში ქცევის კუთხით** შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატი როგორც თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოქმედი მოსამართლე სასამართლო პროცესს წარმართავს თავდაჯერებულად, მშვიდად და სამოსამართლო ეთიკის ნორმების სრული დაცვით. მხარეებს აძლევს მათი მოსაზრებების გამოთქმის თანაბარ

			შესაძლებლობებს, სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ზედმიწევნით იცავს სხვადასხვა საპროცესო ეტაპისათვის დაწესებულ საპროცესო სპეციფიკას, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას აქვს მოსამართლის შესაფერისი იერსახე. ქეთევან მესხიშვილის მიერ საპროცესო ვადების დაცვის კუთხით მის შესახებ მომზადებული შემაჯამებელი ინფორმაციის მონაცემები შემდეგია: საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით -73,8% ვადის დარღვევით 26.2% გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა - ვადის დაცვით 75% ვადის დარღვევით 25% გასაჩივრებული გადაწყვეტილებათა სტაბილურობა - უცვლელი 90.2% შეცვლილი 9.8% საანგარიშო პერიოდში (863 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 916 საქმე, დღეში საშუალოდ 1 საქმე. მოცემული პროცენტული მაჩვენებელი როგორც საქმის განხილვის საპროცესო ვადის დარღვევის, ასევე გადაწყვეტილების მომზადების ვადების საკმაოდ მაღალია.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	**აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის კუთხით** ქეთევან მესხიშვილი სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების პარალელურად ეწევა აკადემიურ და პედაგოგიურ საქმიანობას, ატარებს სალექციო კურსს სხვადასხვა უნივერსიტეტებში და არის არაერთი სამეცნიერო სტატიის/პუბლიკაცის და ნაშრომის ავტორი, ასევე არაერთი სახელმძღვანელოს ავტორი და თანაავტორი.

			შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ პროფესიული და თეორიული საქმიანობის შეთავსება თავისთავად მოწმობს იმას, რომ მოსამართლე დიდ ძალისხმევას ახმარს პროფესიულ და აკადემიურ თვითგანვითარებას.
პროფესიული აქტივობა	5	5	**პროფესიული აქტივობის კუთხით** მას მონაწილეობა აქვს მიღებული სამართლებრივი სისტემებისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის შეხვედრებსა და სემინარებში (შრომის სამართლის სამართლის საერთაშორისო სტანდარტები - სასწავლო კურსი. შრომითი მიგრაცია და ევროპული სამართალი - ტრენინგი. მომხმარებელთა უფლებები ევროკავშირის სამართლის მიხედვით - ევროპის მოსამართლეთა სასწავლო ქსელი - ტრენინგი. სამოქალაქო სამართლის აქტუალური საკითხები - სასამართლო - ტრენინგი (გერმანია. დრეზდენი). დისტანციური სწავლების მეთოდოლოგია, ხორვატიის სამოსამართლო სწავლების ცენტრი - ტრენინგი ბუნდოვანი სამოქალაქო სამართლებრივი საკითხების ანალიზი გერმანული პერსპექტივით - დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლო სტაჟირება, კანდიდატთა და მოსამართლეთა განგრძობადი განათლება - ტრენინგი. ადამიანის უფლებათა სტანდარტები ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით - სემინარი. ტრენინგი ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ 1980 წლის ჰაგის კონვენციის მიხედვით - სემინარი. სამეწარმეო სამართალი - სემინარი. ინტელექტუალური სამართალი და სასამართლო

			პრაქტიკა - სემინარი. საერთაშორისო შრომითი სტანდარტები და საქართველოს შრომის კოდექსი - სემინარი. სამოსამართლო ეთიკა - სემინარი. ბავშვზე ზრუნვისა და კეთილდღეობის სამართლებრივი ასპექტები - სემინარი. რელაციის მეთოდი, გადაწყვეტილების სტრუქტურა და დასაბუთება - სემინარი. უსაფუძვლო გამდიდრება - სემინარი. საავტორო სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინის სამართალი - სემინარი. ბავშვზე ზრუნვის სამართლებრივი ასპექტები - სემინარი. იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებრივი აღჭურვა - სემინარი. სამოქალაქო საპროცესო სამართლის აქტუალური საკითხები - სემინარი. თანამედროვე სწავლების მეთოდოლოგია - სემინარი. და ა. შ).
ქულათა ჯამი	92	100	

სახელი გვარი: ირაკლი ბონდარენკო

ხელმოწერა:

თარიღი : 29.05.21

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ქეთევან მესხიშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	20	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	98	100

სახელი, გვარი: ირმა გელაშვილი

თარიღი: 28.05.2014

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N1/134 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

ქეთევან მესხიშვილის

შეფასება/დასაბუთება

კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, გავითვალისწინე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაცია და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი გარემოებები.

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით:

ა). **პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი** - მითითებული მახასიათებლების შემოწმებისას გათვალისწინებულია კანდიდატის, როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სხვ. კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით ქეთევან მესხიშვილი არის კეთილსინდისიერი და გულისხმიერი პიროვნება. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ კანდიდატს, როგორც გამოცდილ მოსამართლეს, განვითარებული აქვს სამართლის საზოგადოებრივი კონტექსტისა და დანიშნულების, ასევე სამოსამართლო საქმიანობის სოციალური და ეკონომიკური შედეგების შეგრძნების უნარი. მისთვის არცერთი გადაწყვეტილება არ არის მარტივად მისაღები. იგი ყველა საქმეში მისთვის დამახასიათებელი გულისყურითა და გულისხმიერებით აანალიზებს საპირისპირო პოზიციებს, გარემოებებსა და არგუმენტებს, რათა მივიდეს სწორ შედეგამდე.

ქეთევან მესხიშვილს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმა.

ბ). **დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა** - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, ქეთევან მესხიშვილი დამოუკიდებელი და მედეგი მოსამართლეა. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ კანდიდატი საუკეთესოდ ახერხებს მტკიცე პოზიციის შენარჩუნებას მეტად კომპლექსური და მტკივნეული საკითხების განხილვა-გაანალიზების შემთხვევებშიც. ქეთევან მესხიშვილის მთელი ძალისხმევა მიმართულია სწორი, სამართლიანი და

დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისკენ, რომელიც ეფუძნება სამართლიანი წარმოებისა და მხარეთა პოზიციების ურთიერთშეჯერების, პრაქტიკისა და დოქტრინის გაანალიზების კომპლექსურ პროცესს.

რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ ქეთევან მესხიშვილის დამოუკიდებლობა საზრდოობს მისი პროფესიონალიზმითა და ზომიერი თავდაჯერებულობით და არასოდეს გადაჭარბებული თვითშეფასებით. მისი გადაწყვეტილებები და ქცევა თავისუფალია ყოველგვარი ზეგავლენისგან. ერთ-ერთი რეკომენდატორი მიუთითებს, რომ ქეთევან მესხიშვილი ჩამოყალიბდა და მომწიფდა ისეთ მოსამართლედ, რომელიც არა მხოლოდ ზედმიწევნით აცნობიერებს თავის პასუხისმგებლობას სასამართლოს მომხმარებლებისა და ზოგადად, საზოგადოების წინაშე, არამედ მუდმივად ავითარებს შინაგან დამოუკიდებლობას. კანდიდატის კვალიფიკაციასთან ერთად, მაღალი სამოსამართლო ეთიკა და სამართლებრივი-სახელმწიფოებრივი ხედვა ქმნის კანდიდატის შეურყევ იმუნიტეტს ყოველგვარი ჩარევისა და ზეგავლენის მიმართ.

საყურადღებოა, რომ კანდიდატმა საჯარო მოსმენაზე ღიად გამოხატა მოსაზრებები სასამართლო სისტემაში არსებულ ხარვეზებზე: კერძოდ, კანდიდატის თქმით, სასამართლო დღეს გამოიყურება ძალიან ერთიანი და ძალიან გუნდური, ისურვებდა, რომ სასამართლო სისტემაში აზრთა სხვადასხვაობა იყოს წახალისებული, წინააღმდეგობა არ იყოს სტიგმატიზებული, რომ მოსამართლეები თავმჯდომარეს ირჩევდნენ, ხოლო იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ იღებდეს გადაწყვეტილებებს ყოველთვის 11 ხმით, როგორც გუნდი, არამედ იყოს პოლემიკა, თუნდაც დაპირისპირებული პოზიციები, რა არის უკეთესი. კანდიდატმა განმარტა, რომ საქართველოს რეალობაში სააპელაციო სასამართლოებში ვიწრო სპეციალიზაცია არ მიაჩნია მიზანშეწონილად, მაშინ, როდესაც სისტემის ერთ-ერთ გამოწვევად საზოგადოებრივი ნდობის ნაკლებობა სახელდება, უმჯობესია საქმე 30 მოსამართლეზე ნაწილდებოდეს, ვიდრე 3-4 მოსამართლეზე. კანდიდატს სწორად არ მიაჩნია სპეციალიზაციების გამიჯვნა დავის საგნის ღირებულების მიხედვით.

კონკურსანტის მიერ კრიტიკული მოსაზრებების გამოხატვა იმ ორგანოს საქმიანობაზე, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას კონკურსის შედეგებზე, მიუთითებს კანდიდატის გამბედაობაზე, რაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლისათვის გადამწყვეტად მნიშვნელოვანია.

ქეთევან მესხიშვილი არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი ან შემომწირველი. ამასთან, არ არსებობს მტკიცებულება, რომ გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლე არ იყო დამოუკიდებელი.

გ). პიროვნული და პროფესიული ქცევა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, ქეთევან მესხიშვილი გაწონასწორებული, მშვიდი და თავმდაბალი ადამიანია. ერთ-ერთი რეკომენდატორის მითითებით, კანდიდატს სიტუაციის გამწვავების მიუხედავად შეუძლია შეინარჩუნოს სიმშვიდე, გულდასმით მოისმინოს საწინააღმდეგო მოსაზრებები. კოლეგის თანახმად, ქეთევან მესხიშვილი კოლეგიაში მუშაობისას სრულად კონცენტრირებულია საქმეზე. მას შესწევს უნარი პროცესის მონაწილე მხარეს გასაგებად განუმარტოს, თუ რატომ იქნა მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია გაზიარებული ან უარყოფილი. მაღალი პროფესიონალიზმის წყალობით, კანდიდატი ადვილად ახერხებს დაარწმუნოს წაგებული მხარე მიღებული გადაწყვეტილების მართებულობაში.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციით დგინდება, რომ ქეთევან მესხიშვილის მიმართ დისციპლინური ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა.

დ). პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები ქეთევან მესხიშვილს ახასიათებენ მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მქონე პიროვნებად. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი სარგებლობს პატივისცემით როგორც საზოგადოებაში, ასევე პროფესიულ წრეებში.

აღსანიშნავია, რომ კანდიდატის საჯარო მოსმენას მოჰყვა ფართო აუდიტორიის (ადვოკატების, სტუდენტების და ა.შ.) დადებითი გამოხმაურება სოციალურ ქსელში.

ე). ფინანსური ვალდებულება - კანდიდატს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმა.

ქეთევან მესხიშვილი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. მოძიებული ინფორმაციის შესაბამისად, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის.

კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესსა და მასზე მოპოვებულ მასალებში არ გამოვლენილა კონკრეტული გარემოებები, რომელიც კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატის უარყოფითად შეფასების საფუძველი იქნებოდა, ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმით:

სამართლის ნორმების ცოდნა: ქეთევან მესხიშვილმა საჯარო მოსმენისას გამოავლინა მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის სრულფასოვანი ცოდნა. კანდიდატმა ისაუბრა 1921 წლის კონსტიტუციაზე და იმ პრინციპულ ღირებულებებზე, რომლებსაც ეყრდნობოდა კონსტიტუცია, ისაუბრა რელიგიის, სინდისისა და აზრის თავისუფლებაზე, პაციფიზმის საფუძვლით სამხედრო სავალდებულო სამსახურზე უარის თქმის შესაძლებლობაზე, ხაზი გაუსვა პირის კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას რელიგიისა და აღმსარებლობის მიმართ, როდესაც აღნიშნული საფუძვლით ამბობს უარს სავალდებულო სამხედრო სამსახურზე. კანდიდატმა უპასუხა შეკითხვებს სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

კანდიდატმა ისაუბრა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირების ქონებრივ უფლებებთან დაკავშირებით და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიხედვით გამოთქვა მეტად მნიშვნელოვანი მოსაზრება, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს *დე ფაქტო* ოჯახი, დასტურდება ოჯახური თანაცხოვრება და საერთო მეურნეობა, ნორმის ფართო ინტერპრეტაციით, არსებული სოციალურ-ეკონომოკური გარემოს გათვალისწინებით, ქალთა უფლებების დაცვისა და სამართლიანობის მიღწევის მიზნით, ამგვარ არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები უნდა გაუთანაბრდნენ სამოქალაქო ქორწინებაში მყოფ პირებს.

კანდიდატი არის მოქმედი მოსამართლე და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში. კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები, რომელთა გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სწორად იყენებს და განმარტავს სამართლის ნორმებს. განსაკუთრებით გამოვყოფ კანდიდატის მიერ წარმოდგენილ განსხვავებული აზრს,[1] რომელიც დაედო საფუძვლად საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას და გაზიარებულ იქნა განსხვავებული აზრის ავტორის მოტივაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში ფარული ჩანაწერის, როგორც მტკიცებულების გამოყენების დაუშვებლობის თაობაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პირი თვითდახმარების ფარგლებში მოქმედებს. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ პერიოდამდე ფარული ჩანაწერი სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში დასაშვებ მტკიცებულებად მიიჩნეოდა მაშინაც კი, როცა სხვის პირად სფეროში ჩარევა თვითდახმარებას კი არა,

[1] 2015 წლის 18 სექტემბერს სამოქალაქო საქმეზე №2ბ/5068-13 დაწერილი განსხვავებული აზრი.

არამედ მეორე მხარისათვის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას ემსახურებოდა.

აღსანიშნავია, რომ კანდიდატის რეკომენდატორებიც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ მის კომპეტენციაზე. ისინი აღნიშნავენ, რომ ქეთევან მესხიშვილი შესანიშნავად ფლობს არა მხოლოდ ქართულ, არამედ საერთაშორისო კანონმდებლობას, კარგად იცნობს ქართულ და საერთაშორისო, მათ შორის გერმანიის სასამართლო პრაქტიკასა და ტენდენციებს. ერთ-ერთი რეკომენდატორი უთითებს, რომ ქეთევან მესხიშვილის თეორიული ცოდნა ეფუძნება ძლიერ სამეცნიერო დოქტრინულ ფუნდამენტს. მისი სამართლებრივ-დოგმატური ინტერესისა და ხედვის წყალობით, კანდიდატს მარტივად შეუძლია მეტად რთული სამართლებრივი ურთიერთმიმართებების ზუსტად შეცნობა და საკმაოდ კომპლექსურ სფეროებშიც ჰომოგენური გამოსავლის მოძებნა.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია: საჯარო გასაუბრებაზე კანდიდატმა ისაუბრა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე: ჩვეულებისა და მორალის ურთიერთმიმართებაზე. იმსჯელა, თუ რატომ მიიჩნევა ჩვეულებები სამართლის წყაროდ; ისაუბრა წინააღმდეგობის გაწევის უფლებაზე და განმარტა, რომ წინააღმდეგობის გაწევის უფლება ეკუთვნის ხალხს და არა სახელმწიფოს; კანდიდატმა საინტერესო და საკანონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისაგან[2] განსხვავებული მოსაზრება გამოხატა სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლის მე-4 ნაწილთან მიმართებით და განაცხადა, რომ ფიზიკურ პირთა სესხის ხელშკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად იპოთეკის აკრძალვით იზღუდება საკუთრების უფლება იმ პირობებში, როდესაც საშუალება ვერ აღწევს დასახულ ლეგიტიმურ მიზანს და ამით სახელმწიფომ ზედმეტად პატერნალისტური მიდგომა აირჩია. კანდიდატმა ისაუბრა წინასახელშეკრულებო ეტაპზე დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხზე, საჯარო წესრიგის ინსტიტუტის როლზე, ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების თავისებურებებსა და სასამართლოს ჩარევის ფარგლებზე, იმსჯელა სამართლის სხვადასხვა დარგიდან მოყვანილ სიტუაციურ მაგალითებზე (კაზუსებზე).

კანდიდატის მიერ წარმოდგენილ გადაწყვეტილებებში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. მისი გაცნობის შედეგად დგინდება, რომ დაცულია სამართლიანი სასამართლოს ისეთი აუცილებელი ელემენტი, როგორიც

[2] ფატმან კვარაცხელია და კახა ეხვაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 18.12.2020წ.

არის დასაბუთებული გადაწყვეტილება. განსაკუთრებულად გამოვყოფ მნიშვნელოვან განმარტებას საქმეზე,[3] რომელიც სახელმწიფოსათვის ნაჩუქარი ქონების დაბრუნებას ეხებოდა: ამ კატეგორიის საქმეებზე პირველმა ინსტანციამ არ დააკმაყოფილა სარჩელი ქონებათა დაბრუნების თაობაზე, რადგან ვერ მოხდა გარიგებების ბათილად ცნობა იძულების ფაქტის დადგენის შეუძლებლობის გამო. სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა არა მოსარჩელის მიერ მითითებული სამართლებრივი საფუძვლით, არამედ გარიგება უცილოდ ბათილად მიიჩნია ამორალურობის მოტივით, რამდენადაც სასამართლოს განმარტებით, *„ ... ყველა იმ სამართალურთიერთობაში, რომელშიც სახელმწიფო მონაწილეობს, ნდობისა და კეთილსინდისიერების ხარისხი განსაკუთრებულად მაღალია, მიუხედავად სამართალურთიერთობის კერძოსამართლებრივი ბუნებისა, კერძო სამართლის სუბიექტების მხრიდან კონტრაგენტი ძლიერი მხარის, სახელმწიფოს ქმედებების მიმართ კანონიერი ნდობის პრინციპი მოქმედებს. სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული გარიგებების მიმართ კანონსშესაბამისობის და მორალური სტანდარტების დაცვის პრეზუმფცია არსებობს, აღნიშნული პრეზუმფცია კი შეცილებისთანავე ქარწყლდება და მტკიცების ტვირთი ბრუნდება. სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული კერძოსამართლებრივი გარიგებების შეცილების შედეგად, მტკიცების ტვირთი სახელმწიფოზე გადადის. სახელმწიფომ, როგორც ძლიერმა მხარემ, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა დაიცვას ყველა პირის ქონებრივი უფლებები და უნდა ამტკიცოს კერძო პირთან დადებული გარიგების ნამდვილობა, კანონისა და ზნეობის ნორმებთან შესაბამისობა“.*

მიუხედავად იმისა, რომ ეს არის ნორმის საკმაოდ ფართო განმარტება, აღნიშნული მოტივაცია გაზიარებულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ და სწორედ ამ მოტივაციაზე დაყრდნობით მოხდა ფიზიკური პირებისათვის წართმეულ ქონებათა დაბრუნება.

ამასთან, კანდიდატის მიერ წარმოდგენილ მასალებში არის 2014 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება[4], სადაც პირველად იქნა მითითება გერმანული მოდელის მიხედვით *Ultima Ratio-ს* პრინციპზე, რომლის მიხედვითაც, წლებია სამივე ინსტანცია ამოწმებს გათავისუფლებული მუშაკის მიერ ჩადენილი გადაცდომების სიმძიმეს და მის მიმართ გამოყენებული სანქციის ადეკვატურობის პროპორციას.

---

[3] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლუს 15 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე N 2ბ/4686-13

[4] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე №2ბ/6870-13

აღსანიშნავია, რომ ქეთევან მესხიშვილის გასაჩივრებული გადაწყვეტილებათა სტაბილურობის მაჩვენებელი შეადგენს 90.2%-ს.

წერის უნარი: ქეთევან მესხიშვილმა წარმოადგინა 4 სამართლებრივი ნაშრომი, მათ შორის 2 სასამართლო გადაწყვეტილება, 1 განსხვავებული აზრი და 1 სამეცნიერო სტატია. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ ქეთევან მესხიშვილი წერილობით აზრს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად, სამართლებრივ დოკუმენტებს არ ტვირთავს არამიზნობრივი და შაბლონური მსჯელობით. რეკომენდატორები უთითებენ და აშკარაცაა, რომ კანდიდატს აქვს მარტივად და გასაგებად წერის მანერა, რთული სამართლებრივი მსჯელობისა და დასაბუთების დახვეწილად ჩამოყალიბების უნარი, რა დროსაც მართებულად იყენებს შესაბამის გრამატიკულ კონსტრუქციებს.

ზეპირი კომუნიკაციის უნარი: კანდიდატმა საჯარო მოსმენის პროცესზე გამოავლინა კარგი კომუნიკაციის უნარი. ქეთევან მესხიშვილი საუბრობს გამართულად, მშვიდად, გაწონასწორებულად, აზრს გადმოსცემს ნათლად, ლოგიკურად, თანმიმდევრულად და მკაფიოდ. კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები უთითებენ, რომ კანდიდატს შეუძლია ნათლად და დამაჯერებლად გადმოსცეს საკუთარი აზრი, მოუსმინოს სხვის განსხვავებულ მოსაზრებას.

პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში: კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები ქეთევან მესხიშვილს ახასიათებენ, როგორც პუნქტუალურ და შრომისმოყვარე პიროვნებას, რომელმაც იცის დროის რაციონალურად გამოყენება. ამ თვისების წყალობით, იგი კარგად უთავსებს სამოსამართლო საქმიანობას პედაგოგიურ მოღვაწეობას. ამასთან, ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ ქეთევან მესხიშვილს კომუნიკაბელურობა და ურთიერთობის დახვეწილი მანერა უადვილებს მხარეებთან ურთიერთობას და სხდომის სწორად მართვას.

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი რეკომენდატორის თანახმად, ქეთევან მესხიშვილი სამართალწარმოების მხარეებთან გახსნილია, მისთვის მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლე მხარეებსა და ადვოკატებს უყურებდეს არა ქედმაღლურად, არამედ ეძებდეს მათთან ღია დიალოგს და აწარმოებდეს თანასწორობაზე დაფუძნებულ კომუნიკაციას. ამით, კანდიდატი ცხადჰყოფს, რომ იგი ემხრობა სასამართლო სხდომის თანამედროვედ, „კონტინენტურ-ევროპული“ სახით გამჭვირვალედ წარმართვას და მომავალზე ორიენტირებული მოსამართლის სურათის დანერგვას.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ქეთევან მესხიშვილს საანგარიშო პერიოდში (863 დღე) დასრულებული აქვს 916 საქმე, დღეში საშუალოდ 1 საქმეზე მეტი. ამასთან, კანდიდატის მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში საქმეთა განხილვის მაჩვენებელი 73.8%-ს, ხოლო გადაწყვეტილების მომზადების მაჩვენებელი 75%-ს აღწევს.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა: კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ 20-ზე მეტ ღონისძიებაში, მათ შორისაა სემინარები შრომის სამართლის საერთაშორისო სტანდარტების, სამოქალაქო სამართლის აქტუალური საკითხების, სამეწარმეო სამართლის, უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ და სხვ.

კანდიდატს 2010 წელს მიენიჭა სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

ქეთევან მესხიშვილი იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის III ჯგუფის მსმენელი (2010წ.), მან იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა 48-ე ადგილი.

პროფესიული აქტივობა: პროფესიული აქტივობის თაობაზე მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ქეთევან მესხიშვილი ეწევა აქტიურ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. კერძოდ, ქეთევან მესხიშვილი 2015 წლიდან არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის მასწავლებელი, 2014 წლიდან თავისუფალი უნივერსიტეტის სრული პროფესორი კერძო სამართლის მიმართულებით. ამასთან, ქეთევან მესხიშვილი 10-ზე მეტ სასწავლო თუ სამეცნიერო პროექტში მონაწილეობდა მოწვეული ექსპერტის სტატუსით.

კანდიდატი არის 25-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის (სახელმძღვანელოს, სტატიის) ავტორი/თანაავტორი, მათ შორისაა: „კერძო სამართლის აქტუალური საკითხები“ (მონოგრაფია), „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება“, „დიფამაცია ქართული და ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით“, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის მცდელობა ქართული და ევროპული პერსპექტივით“, „თავდებობის სამართლებრივი ასპექტები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა“ და სხვა. მისი თანაავტორობით გამოიცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, შრომის სამართლის სახელმძღვანელოები, რომელიც აქტიურად გამოიყენება სასამართლო პრაქტიკაში, ასევე, გადახდისუუნარობის სახელმძღვანელო, რომელიც ახალი რეაბილიტაციის პროექტს ეძღვნება და ა.შ.

კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:

1. ქეთევან მესხიშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
2. კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატს ვაფასებ 98 ქულით, კერძოდ:
   2.1.სამართლის ნორმების ცოდნა - 19 ქულა;
   2.2.სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 19 ქულა;
   2.3.წერის უნარი - 20 ქულა:
   2.4.ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 15 ქულა;
   2.5.პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში - 15 ქულა;
   2.6.აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 5 ქულა;
   2.7.პროფესიული აქტივობა - 5 ქულა.

ირმა გელაშვილი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ქეთევან მესხიშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	13	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20
წერის უნარი	16	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	12	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	86	100

სახელი, გვარი: დიმიტრი გვრიტიშვილი

თარიღი: 28.05.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
დიმიტრი გვრიტიშვილი

2021 წლის 28 მაისი, ქალაქი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 გადაწყვეტილებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **ქეთევან მესხიშვილის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

1.2. საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა 50 პირი, მათ შორის - ქეთევან მესხიშვილიც. საბჭოს 2021 წლის 5 აპრილის №1/26 განკარგულებით, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2021 წლის 1 აპრილის ორგანული კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე, დადგინდა, რომ ამ პროცედურის ფარგლებში 2021 წლის 6-12 აპრილის პერიოდში მიღებული იქნებოდა დამატებითი განცხადებები. შედეგად, საბჭოს 2021 წლის 15 აპრილის განკარგულებით, ამ პროცედურაში დარეგისტრირდა 2 ახალი კანდიდატი.

1.3. საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია პროცედურაში მონაწილე კანდიდატთა შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმოგვედგინა საბჭოს წევრებს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

1.4. კანდიდატების საჯარო მოსმენა დაიწყო 2020 წლის 10 დეკემბერს; უშუალოდ ქეთევან მესხიშვილის საჯარო მოსმენა გაიმართა 2020 წლის 28 დეკემბერს, სადაც მივიღე მონაწილეობა და, საბჭოს სხვა წევრებთან ერთად, ვისარგებლე კანდიდატისათვის შეკითხვების დასმის უფლებით.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ კანდიდატთა შეფასების წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით; იმისდა

მიხედვით, კანდიდატს გააჩნია თუ არა სამოსამართლო გამოცდილება, შეფასების წესი განსხვავებულია.

ვინაიდან ქეთევან მესხიშვილი მოქმედი მოსამართლეა, მისი შეფასება განვახორციელე ორგანული 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით სამოსამართლო გამოცილების მქონე კანდიდატის შეფასებისათვის განსაზღვრული წესით, კერძოდ:

1.5.1. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36[3] მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, შევადგინე საბოლოო დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ. ცალსახაა, კანონმდებლის ნება, რომ შეფასება დაეფუძნოს მონაცემთა ანალიზსა და შეჯერებას; ამდენად, დასკვნა „სრულად აკმაყოფილებს" უნდა გაკეთდეს მხოლოდ მაშინ, თუ კანდიდატი მახასიათებლისათვის კანონით განსაზღვრული ყველა კომპონენტის მიხედვით დადებითად ფასდება; თუ კომპონენტებიდან რომელიმეს მიმართ შეფასება უარყოფითია, უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ კანდიდატი „აკმაყოფილებს" მახასიათებელს; ხოლო თუ ორი ან მეტი კომპონენტის შეფასება აღმოჩნდება უარყოფითი, უნდა ჩაითვალოს, რომ კანდიდატი „არ აკმაყოფილებს" მახასიათებელს.

1.5.2. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 (შვიდი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ამ ქულის დასაბუთების გზით.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. *საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია*:

2.1.1. ქეთევან მესხიშვილი 39 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, ხოლო დოქტორის აკადემიური ხარისხი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ). სპეციალობით მუშაობს 15 წელია, აქედან - 10 წელი მოსამართლედ: 2010 წლის 1 დეკემბრიდან დაინიშნა სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ, 10 წლის ვადით; დანიშვნის მომენტიდან 2012 წლის 1 იანვრამდე, მივლინების საფუძველზე, უფლებამოსილებას ახორციელებდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში; 2012 წლის 1 იანვრიდან დაინიშნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ, თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში; ხოლო 2020 წლის 1 დეკემბრიდან განწესდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

2.1.2. სამი რეკომენდატორი (მათ შორის - ერთი უცხოელი რეკომენდატორი) გამოარჩევს კანდიდატის პასუხისმგებლობას, გულისხმიერებას, დამოუკიდებლობას, მაღალ პიროვნულ და პროფესიულ ავტორიტეტს, მიუკერძოებლობას, სიმტკიცეს; აღნიშნავენ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების სიღრმისეულ ცოდნას, კომუნიკაბელურობას; უთითებენ, რომ მისი ნააზრევი ყოველთვის ლოგიკური და უზადოდ არგუმენტირებულია.

კითხვარის სტანდარტული ფორმით, გამოიკითხა 2 რესპონდენტი: ისინი აცხადებენ, რომ კარგად იცნობენ კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ

საქმიანობას; მათი აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

2.1.3. ქეთევან მესხიშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული უამრავ პროფესიულ-სასწავლო ღონისძიებაში (სტაჟირება, სასწავლო კურსები, ტრენინგები, სემინარები), სამართლის სხვადასხვა დარგების და თემების მიხედვით (მაგ: შრომის სამართლის საერთაშორისო სტანდარტები; შრომითი მიგრაცია და ევროპული სამართალი; მომხმარებელთა უფლებები ევროკავშირის სამართლის მიხედვით; სამოქალაქო სამართლის აქტუალური საკითხები; დისტანციური სწავლების მეთოდოლოგია; ბუნდოვანი სამოქალაქო სამართლებრივი საკითხების ანალიზი გერმანული პერსპექტივით; კანდიდატთა და მოსამართლეთა განგრძობადი განათლება; ადამიანის უფლებათა სტანდარტები ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით; ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ 1980 წლის ჰააგის კონვენცია; სამეწარმეო სამართალი; ინტელექტუალური სამართალი და სასამართლო პრაქტიკა; სამოსამართლო ეთიკა; რელაციის მეთოდი, გადაწყვეტილების სტრუქტურა და დასაბუთება; უსაფუძვლო გამდიდრება და ა.შ.).

კანდიდატს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით, ჩაბარებული აქვს 2005 წლის 18 ივნისს; ასევე - 2004 წლის 20 სექტემბერს გავლილი აქვს ადვოკატთა ტესტირება, სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით და იმავე წლის 26 სექტემბერს ჩაბარებული აქვს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

2.1.4. კანდიდატი 2005 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ:

- 2005-2006 წლებში იყო საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი საერთაშორისო სამართლის მიმართულებით;
- 2007-2012 წლებში იყო ასისტენტ-პროფესორი, ხოლო 2012-2014 წლებში ასოცირებული პროფესორი კავკასიის უნივერსიტეტში, კერძო სამართლის მიმართულებით;
- 2014 წლიდან დღემდე არის თავისუფალი უნივერსიტეტის სრული პროფესორი კერძო სამართლის მიმართულებით;
- 2015 წლიდან დღემდე არის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მასწავლებელი.

კანდიდატი ასევე მონაწილეობდა სხვადასხვა ავტორიტეტული სუბიექტის (GIZ, EWMI PROloG, OSGF და სხვ) მიერ ორგანიზებულ მრავალ ღონისძიებაში (თემები: „საკუთრების უფლების მნიშვნელოვანი ასპექტები"; „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვა"; „მემკვიდრეობითი სამართალი"; „სანოტარო საქმე და სასამართლო პრაქტიკა"; „ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის სამართლებრივი ასპექტები"; „სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების ტექნიკა"; „გადახდისუუნარობის საქმის წარმოება"; „შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები და პანდემია" და სხვ), მოწვეული ექსპერტის სტატუსით.

2.1.5. ქეთევან მესხიშვილი ავტორია/თანავტორია მრავალი სახელმძღვანელოს, სტატიისა თუ სამეცნიერო პუბლიკაციის (მაგ: „კერძო სამართლის აქტუალური საკითხები", 2020წ; „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება", 2020წ; „გადახდისუუნარობის სამართალი", 2020წ; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, 2016წ.; შრომის სამართლის სახელმძღვანელო, 2016წ; „ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში", 2010წ.; პრაქტიკული

ხელმოწერა:

რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2010წ. და ა.შ.).

2.1.6. ქეთევან მესხიშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ აქვს; აქვს მიმდინარე საბანკო სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორიით; უძრავი ქონება საკუთრებაში არ გააჩნია და არ ეწევა სამეწარმეო საქმიანობას.

2.1.7. ბოლო სამი წლის განმავლობაში, ქეთევან მესხიშვილი ერთხელ იქნა დაჯარიმებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის (საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა); ჯარიმა გადახდილია დროულად.

მის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა.

კანდიდატი ერთხელ იყო დასახელებული მოპასუხედ ადმინისტრაციულ საქმეზე (№3/1692-19), თუმცა - სარჩელი არსებითად არც განხილულა.

კანდიდატი დაზარალებულად სისხლის სამართლის რაიმე საქმეზე ცნობილი არ ყოფილა.

კანდიდატი ასევე არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი/შემომწირველი.

2.1.8. ქეთევან მესხიშვილმა წარმოადგინა მის მიერ სამოქალაქო საქმეებზე გამოტანილი 2 გადაწყვეტილება, 1 პუბლიკაცია („დიფამაცია ქართული და ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით") და 1 განსხვავებული აზრი.

მათი შესწავლით დავადგინე, რომ კანდიდატი წერისას ხშირად იყენებს არასწორ გრამატიკულ ფორმებს, ასევე - სათანადოდ არ იყენებს სასვენ ნიშნებს; ასევე - ხშირად იყენებს რთულ თანწყობილ/ქვეწყობილ წინადადებებს;

2.1.9. კანდიდატის, როგორც მოსამართლის საქმიანობის ეფექტურობის შესახებ: 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე, ქეთევან მესხიშვილმა საპროცესო ვადების დაცვით განიხილა საქმეთა 73.8%; გადაწყვეტილება ვადის დაცვით მოამზადა საქმეთა 75%-ზე; გასაჩივრების შემდეგ, მის გადაწყვეტილებათა 90.2% დარჩა უცვლელი; საანგარიშო პერიოდში (863 დღე) დაასრულა 916 საქმე, ანუ - დღეში საშუალოდ 1 საქმე.

2.2. *კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:*

2.2.1. ქეთევან მესხიშვილის საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ყველასათვის ხელმისაწვდომია (იხ: https://www.youtube.com/watch?v=0jmHEDLI0FY). მას საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. მაგალითად, ერთ-ერთ ზოგად შეკითხვაზე (შეეხებოდა მოსამართლის მიერ საქმეზე წერილობით შედგენილი განსხვავებული აზრის მნიშვნელობას), კანდიდატმა უპასუხა, რომ განსხვავებულ აზრს წერდა მხოლოდ „სენსიტიურ საქმეებზე" და არა ყოველთვის, როცა ეს „არაფრისმომცემი იქნებოდა" და ყოფილა საქმეები, რომლებშიც, მართალია, არ ეთანხმებოდა დანარჩენი 2 კოლეგის მოსაზრებას, მაგრამ მაინც მოუწერია ხელი გადაწყვეტილებაზე, განსხვავებული აზრის დაწერის გარეშე.

ამდენად,, გაირკვა, რომ კანდიდატი საქმეებს ჰყოფს „სენსიტიურ" და სხვა, „არაფრისმომცემ" საქმეებად, რომლის მიხედვითაც საკუთარ პრინციპულ პოზიციას, განსხვავებული აზრის წერილობით ჩამოყალიბების გზით, მხოლოდ „სენსიტიურ" საქმეებზე აფიქსირებს, ხოლო „არაფრისმომცემ" საქმეებზე ეთანხმება დანარჩენ კოლეგებს, თუნდაც განსხვავებული მოსაზრება გააჩნდეს.

ხელმოწერა:

2.2.3. კიდევ ერთ ზოგად შეკითხვაზე - რომ ყოფილიყო საბჭოს თავმჯდომარე, რას გააკეთებდა სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის ასამაღლებლად, კანდიდატმა შემდეგნაირად უპასუხა: სასამართლო გამოიყურება ძალიან ერთიანად და გუნდურად; ისურვებდა, რომ სასამართლო ყოფილიყო უფრო მრავალფეროვანი, სადაც ერთ საკითხს ყველა არ ეთანხმება, სადაც არის აზრთა სხვადასხვაობა, პოლემიკა, ურთიერთწინააღმდეგობა, ოღონდ პოლემიკა და ურთიერთწინააღმდეგობა არის ხელშეწყობილი და წახალისებული და არა სტიგმატიზებული; არ უნდა, რომ მისი სასამართლოს საბჭო ყოველთვის 11 ხმით იღებდეს გადაწყვეტილებას და პირიქით, უნდა, რომ მისი ქვეყნის სასამართლოში, სადაც მოსამართლეებმა აირჩიეს არა გუნდი, არამედ ცალკეული პირები, ინდივიდუალურად იღებდნენ გადაწყვეტილებას და ა.შ.

დამატებით შეკითხვაზე - განსხვავებული აზრის დაფიქსირების გამო ხომ არ შექმნია რაიმე პრობლემა, ან სტიგმატიზება ხომ არ განუცდია, უპასუხა, რომ მანამდე, როცა „ერთი-ორი წლის დანიშნული იყო", აკლდა „სამოსამართლო სიმწიფე" და არ აქტიურობდა, ხოლო ახლა „მყარად დგას ფეხზე" და სურს იყოს პროაქტიური.

2.2.4. სამართლებრივ შეკითხვებზე კანდიდატის პასუხები, ძირითადად, თანმიმდევრულ, დასაბუთებულ და სწორ სამართლებრივ შეფასებებს ეყრდნობოდა; თუმცა, იყო შეცდომები და ხარვეზები პასუხების დაახლოებით 35% შემთხვევაში (მაგ: 1) კანდიდატმა გამორიცხა ჩვეულებათა გამოყენება კონსტიტუციურ-სამართლებრივ ურთიერთობებში; არადა, დოქტრინაშიც და პრაქტიკაშიც ცნობილია შემთხვევები, როცა ჩვეულება გამოიყენება სამართლის წყაროდ. მაგალითად: საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს პრეზიდენტის გადადგომის უფლებას, თუმცა - სწორედ ჩვეულების ძალით, საქართველოს რეალობაში პრეზიდენტებმა ამ უფლებით 2-ჯერ ისარგებლეს, ხალხისადმი საჯარო მიმართვის გზით და ასე შეუწყდათ უფლებამოსილება. ჩვეულების (და არა კონსტიტუციის ან სხვა კანონის ნორმებით) ძალით იმართება ის ცერემონიალიც, რაც შეეხება პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებას საქართველოს კონსტიტუციაზე (ერთხელ ფიცი დაიდო საქართველოს მეფის საფლავზეც); 2) შეკითხვაზე - რას გულისხმობს დელიქტები სისხლის სამართალში, კანდიდატმა ისაუბრა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე; 3) კანდიდატმა მიუთითა, რომ პარლამენტის რეგლამენტი მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის 1/3-ისა; თუმცა, საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პარლამენტის რეგლამენტს იღებს პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით; 4) კანდიდატმა, პარლამენტის წევრის ინდემნიტეტის არსის შესახებ შეკითხვაზე პასუხის გაცემისას, ისაუბრა მხოლოდ ერთ კომპონენტზე - პარლამენტის წევრის ხელშეუხებლობაზე მის მიერ აზრის გამოხატვისას, თუმცა - არ უხსენებია პარლამენტის წევრის შეუფერხებელი საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა კომპონენტები (შრომის ანაზღაურების გარანტია, მისი დაცვა ჩვენების მიცემისაგან იმ ფაქტზე, რომელიც მას გაანდეს, როგორც პარლამენტის წევრს); 5) კანდიდატმა, ბუნდოვანი პასუხით, თავი აარიდა დეტალურ და შინაარსობრივ პასუხს ჩემ მიერ შეთავაზებულ კაზუსზე - ეკლესიაში წირვისას მღვდლის მიერ ჯერ მამაკაცების, შემდეგ კი - ქალების ზიარების შესახებ; 6) კანდიდატმა განაცხადა, რომ ადმინისტრაციული საქმეები ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დაცულ სფეროში არ ხვდებიან და ა.შ.).

ხელმოწერა:

2.2.5. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ ქეთევან მესხიშვილმა, განსახილველი საჯარო მოსმენის დროს, გარკვეულ საკითხებზე მასთან 2019 წლის 31 ივლისს ჩატარებული საჯარო მოსმენის (ვიდეო-ჩანაწერი ასევე ყველასათვის ხელმისაწვდომია, იხ: https://www.youtube.com/watch?v=ISByLASzt9Y) დროს გაჟღერებული მოსაზრებებისაგან რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები დააფიქსირა, კერძოდ:

2.2.5.1. კანდიდატმა მაშინ განაცხადა, რომ ,,უფრო დიდი ფასი ღირს სამოსამართლო ეთიკა, ვიდრე მისი გულწრფელობა"; მოგვიანებით, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ მოსამართლეს ეთიკა უკრძალავს - რაიმენაირი შეფასება გააკეთოს თავისი კოლეგის შესახებ.

2.2.5.2. საბჭოს წევრის - ნაზიბროლა ჯანეზაშვილის კითხვაზე - არსებობს თუ არა ,,კლანი" სასამართლოში, კანდიდატმა უპასუხა, რომ ამ ფაქტს ვერ დაადასტურებდა და მიუთითა, რომ იქ, სადაც არსებობს ინსტიტუციური დამოუკიდებლობა, იქ არის იდეური კავშირები და ღირებულებითი ერთობა, რაშიც ცუდი არაფერია.

საბჭოს იმავე წევრის კითხვაზე - შეუძლია თუ არა საბჭოს კრიტიკა მოსამართლეს, კანდიდატმა უპასუხა, რომ აფიქსირებდა საკუთარ პოზიციას სისტემის შიგნით და არა საჯაროდ; ვინაიდან სასამართლოს ავტორიტეტი დევს პინაზე, ამიტომ ვერ დააყენებდა მთელი სისტემის ავტორიტეტს ეჭვქვეშ მხოლოდ იმისთვის, რათა საბჭოს წევრის ან ვინმე სხვის კეთილგანწყობა მოეპოვებინა; მოგვიანებით, მიუთითა, რომ სასამართლოს ავტორიტეტი ძალიან ღირებულია, ამიტომ კრიტიკა უნდა იყოს ძალიან ფრთხილი, არ უნდა მიემართებოდეს მოსამართლეთა მთელს კორპუსს, უფრო ორიენტირებული უნდა იყოს პრობლემაზე.

2.2.6. როგორც ზემოთ აღვწერე, განსახილველი საჯარო მოსმენის დროს, ქეთევან მესხიშვილმა, 2019 წლის 31 ივლისის საჯარო მოსმენისაგან განსხვავებით, დაუბრკოლებლად და საკმაოდ კრიტიკულად, საჯაროდ ისაუბრა საკუთარ კოლეგებზე, მოსამართლეთა მთელს კორპუსზე, ისე, რომ არ აუხსნია - რამ გამოიწვია მისი მოსაზრებების ცვლილება არც თუ ისე ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შემდგომ.

სხვა სიტყვებით, თუ მისთვის 2019 წლის 31 ივლისს პრობლემა იყო მოსამართლეთა მთელ კორპუსზე, თანაც საჯაროდ, კრიტიკული საუბარი, 2020 წლის 28 დეკემბერს ფაქტობრივად და საჯაროდ განაცხადა, რომ კოლეგებს - დანარჩენ მოსამართლეებს (მათ შორის - საბჭოს მოსამართლე წევრებს) არ განიხილავს ინდივიდუალურ მოსამართლეებად, პიროვნებებად და მათ მოიაზრებს რაღაც გაურკვეველი ,,გუნდის" წევრებად, რომლებიც ყველაფერში ეთანხმებიან ,,გუნდს" და არ გააჩნიათ საწინააღმდეგო აზრი, ან - შეიძლება გააჩნიათ კიდეც, ოღონდ - ვერ გამოხატავენ ,,სტიგმატიზაციის" შიშით. ამასთან, თუ 2019 წლის 31 ივლისს მისთვის გუნდურობა, იდეური კავშირები და ღირებულებითი ერთობა არ იყო ცუდი და ინსტიტუციური დამოუკიდებლობისათვის ბუნებრივად იყო დამახასიათებელი, 2020 წლის 28 დეკემბერს ასეთი კავშირი უკვე პრობლემა გამხდარა.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

ხელმოწერა:

3.1. ქეთევან მესხიშვილის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

3.1.1. კანდიდატი, როგორც მოსამართლე და მოქალაქე, არის პატიოსანი, კეთილსინდისიერი, აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, არის სიმართლისმოყვარე; არის კორექტული და ზუსტი სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და ა.შ.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ქეთევან მესხიშვილი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ,,პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის" მახასიათებელს.

3.1.2. ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

ზემოთ, 2.2.2, 2.2.3 და 2.2.5 პუნქტებში ასახული გარემოებებიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ საქმეების დაყოფა ,,სენსიტიურ" და ,,არაფრისმომცემ" საქმეებად და ამით განსაზღვრა - მოსამართლე მოამზადებს თუ არა წერილობით საკუთარ განსხვავებულ აზრს, არ მეტყველებს კანდიდატის პრინციპულობაზე და პირიქით, მეტყველებს მის უსამართლობაზე. გარდა ამისა, არც თუ ისე ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შემდეგ გარკვეულ საკითხებზე მოსაზრებების რადიკალურად და დაუსაბუთებლად ცვლილებაც არ მეტყველებს კანდიდატის პიროვნულ სიმყარეზე.

შესაბამისად, ვინაიდან ამ მახასიათებლის ორზე მეტი კომპონენტის მიხედვით კანდიდატი შევაფასე უარყოფითად, მივიჩნიე, რომ ქეთევან მესხიშვილი არ აკმაყოფილებს ,,დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის" მახასიათებელს.

3.1.3. ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

ამდენად, ამ მახასიათებლის მნიშვნელოვანი კომპონენტებია სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი.

საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების (იხ: http://www.supremecourt.ge/judges-self-governance/judges-ethics-code/) მე-3 მუხლის თანახმად, მოსამართლე ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ დონეზე უნდა განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების

ხელმოწერა:

დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობისადმი; ხოლო მე-6 მუხლის თანახმად, მოსამართლე საჯაროდ არ უნდა გამოხატავდეს უარყოფით აზრს ან შეხედულებას სხვა მოსამართლისა და კოლეგის პროფესიონალიზმსა თუ პირად თვისებებზე.

აღნიშნული წესები ეფუძნება სამოსამართლო ეთიკის უნივერსალურ სამართლებრივ აქტს - სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპებს (იხ: http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/mosamartleta.qcevis-wes2.pdf), რომლის 3.2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის ქცევამ და მოქმედებამ უნდა განამტკიცოს საზოგადოების ნდობა სასამართლოს შეუვალობის (კეთილსინდისიერების) მიმართ; ხოლო 4.1 პუნქტის თანახმად, მოსამართლე იცავს ეთიკის ნორმებს, მისთვის დაუშვებელია არაკორექტული ქცევა მის თანამდებობასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედების განხორციელებისას.

აღნიშნული 3.2 პრინციპის ოფიციალურ კომენტარში მითითებულია: „...მოსამართლე უნდა იყოს არა მარტო „კარგი მოსამართლე", არამედ „კარგი ადამიანიც"... მოსამართლის პირადი თვისებები, მისი ქცევა და მისი იერი საზოგადოების თვალში გავლენას ახდენს ზოგადად სასამართლო სისტემაზე და, შესაბამისად, საზოგადოების ნდობაზე სასამართლო ხელისუფლებისადმი"; ხოლო 4.1 პუნქტი განმარტებულია შემდეგნაირად: „...არაკორექტული ქცევის გამოსავლენი კრიტერიუმია იმის განსაზღვრა, ხომ არ ვნებს ასეთი ქცევა მოსამართლის უნარს, პატიოსნად, მიუკერძოებლად, დამოუკიდებლად და კვალიფიციურად შეასრულოს მოსამართლის მოვალეობები, თუ, გარეშე დამკვირვებლის აზრით, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მოსამართლეს არ შეუძლია, ჯეროვნად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები."

ქეთევან მესხიშვილის მიერ 2020 წლის 28 დეკემბერს ჩატარებული საჯარო მოსმენისას გაკეთებული განცხადებებიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატმა დაარღვია სამოსამართლო ეთიკა, რადგან ის არ იყო კორექტული საკუთარ კოლეგებთან მიმართებით; ეს განცხადებები რომ ნამდვილად არაკორექტული იყო და არ შეესაბამებოდა მოსამართლის მაღალ წოდებას, თავად კანდიდატის მიერ 2019 წლის 31 ივლისს ჩატარებული საჯარო მოსმენისას დაფიქსირებული პოზიციებითაც დასტურდება, როცა მან არ ისურვა იგივე საკითხებზე საუბარი სწორედ სამოსამართლო ეთიკის და სასამართლოს ავტორიტეტის დაცვის ინტერესიდან გამომდინარე, რომელიც, მისივე სიტყვებით, „უფრო ძვირფასია, ვიდრე მისი გულწრფელობა".

შესაბამისად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი არ აკმაყოფილებს „პიროვნული და პროფესიული ქცევის" მახასიათებელს.

3.1.4. კანდიდატს აქვს მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაცია/ავტორიტეტი, მისი ურთიერთობის ხასიათი იურიდიულ წრეებთან სრულ შესაბამისობაშია მოსამართლის სტატუსთან. მართალია, კანდიდატმა 2020 წლის 28 დეკემბრის საჯარო მოსმენისას გააკეთა სამოსამართლო ეთიკის დამრღვევი განცხადებები, რის გამოც ვვარაუდობ, რომ ამ განცხადებების შედეგად კანდიდატის რეპუტაცია და ავტორიტეტი მნიშვნელოვნად შეილახებოდა კოლეგა მოსამართლეებში, თუმცა - ეს მხოლოდ ვარაუდია და არ არის დადასტურებული მოსამართლეთა გამოკითხვის შედეგებით.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ქეთევან მესხიშვილი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის" მახასიათებელს.

ხელმოწერა:

3.1.5. კანდიდატის შემოსავლის წყაროს და ოდენობის, აქტივების, მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების და მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ერთობლივად გაანალიზების შედეგად, მივიჩნიე, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა მოსამართლის ქონებრივ ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ქეთევან მესხიშვილი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ,,ფინანსური ვალდებულების" მახასიათებელს.

3.2. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 მახასიათებლიდან 3 მახასიათებლის შემთხვევაში მივიჩნიე, რომ კანდიდატი ,,სრულად აკმაყოფილებს" ამ მახასიათებლებს, ხოლო 2 მახასიათებლის შემთხვევაში მივიჩნიე, რომ კანდიდატი ,,არ აკმაყოფილებს" ამ მახასიათებლებს.

ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 პუნქტით დადგენილი წესით, ამ შედეგების ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, მივიჩნიე, რომ ქეთევან მესხიშვილი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. ქეთევან მესხიშვილის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

4.1.1. კანდიდატი ძირითადად კარგად იცნობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობებს, ადამიანის უფლებების სამართალს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

შესაბამისად, ზემოთ, 2.2.4 პუნქტში აღწერილი შეცდომების, ხარვეზების შემთხვევების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ,,სამართლის ნორმების ცოდნის" მახასიათებლის მიხედვით ქეთევან მესხიშვილი უნდა შეფასდეს 13 ქულით (ორგანული კანონის 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 65%).

4.1.2. კანდიდატს გააჩნია ანალიტიკური აზროვნების, საკუთარი მოსაზრების კარგად დასაბუთების უნარი, რაც ამ მოსაზრებას დამაჯერებლობასაც ანიჭებს. მას აქვს სათანადო პროფესიული გამოცდილებაც.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ქეთევან მესხიშვილი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული ,,სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს მაქსიმალური - 20 ქულით.

4.1.3. კანდიდატს, 2.1.8 პუნქტში აღწერილი ხარვეზების გათვალისწინებით, ძირითადად გააჩნია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.

შესაბამისად, ქეთევან მესხიშვილი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული ,,წერის უნარის" მახასიათებლის მიხედვით შევაფასე 16 ქულით (ორგანული კანონის 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 80%).

4.1.4. კანდიდატს გააჩნია გამართული მეტყველების, სხვისი აზრის (მათ შორის - განსხვავებული აზრის) მოთმინებით მოსმენის და ღიაობის სათანადო უნარები.

ხელმოწერა:

შესაბამისად, ქეთევან მესხიშვილი ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული ,,ზეპირი კომუნიკაციის უნარის" მახასიათებლის მიხედვით შევაფასე 15 ქულით (ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულა).

4.1.5. კანდიდატი ძირითადად პუნქტუალურია, საქმეებს ამზადებს ჯეროვნად და პასუხისმგებლობით, სასამართლო სხდომას წარმართავს სათანადოდ, მხარეებთან მისი კომუნიკაცია შეესაბამება მოსამართლის მაღალ სტატუსს; გულმოდგინე და შრომისმოყვარეა, გადაწყვეტილებას იღებს დაუხმარებლად და აქვს დამოუკიდებელი აზროვნების კარგი უნარი.

თუმცა, ზემოთ - 2.1.9 პუნქტში აღწერილი მონაცემების (საქმეთა 25-26% შემთხვევაში განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების ვადების დარღვევა) გამო, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად ვერ აკმაყოფილებს ,,გულმოდგინეობის" და ,,პროდუქტიულობის" კომპონენტებს, რის გამოც სათანადოდ ვერ იცავს საპროცესო ვადებს.

შესაბამისად, ქეთევან მესხიშვილი ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლის - ,,პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში" - მიხედვით შევაფასე 12 ქულით (ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულის დაახლოებით 80%).

4.1.6. კანდიდატი სიახლეების მიმართ ღიაა, აქვს თვითგანვითარების უნარი, შესაბამისი საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, რისთვისაც ხშირად მონაწილეობს პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, ხოლო შეძენილ ცოდნას და უნარებს წარმატებით იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ქეთევან მესხიშვილი ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული ,,აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 5 ქულით (ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულა).

4.1.7. კანდიდატი ხშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში, სადაც საკუთარ პოზიციას (შეხედულებებს) გამოხატავს ღიად და თავისუფლად, იჩენს ინიციატივას და აქვს იდეების/წინადადებების წამოყენების უნარი.

ასევე აღსანიშნავია, რომ კანდიდატი აქტიურ პედაგოგიურ და სამეცნიერო ხასიათის საქმიანობას ახორციელებს.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ქეთევან მესხიშვილი ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრული ,,პროფესიული აქტივობის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 5 ქულით (ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულა).

4.1.8. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, ქეთევან მესხიშვილს ვანიჭებ 86 ქულას.

ხელმოწერა: დ. გვრიტიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ქეთევან მესხიშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	97	100

სახელი, გვარი: ლევან გზირიშვილი
თარიღი: 27.05.2021 წ.

ქეთევან მესხიშვილი

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი არის პატიოსანი და კორექტული. გამოირჩევა დამოუკიდებლობითა და მიუკერძოებლობით. ის პასუხისმგებლობით უდგება თავის საქმეს. მას აქვს ემოციების მართვის კარგი უნარი, პატივისცემით ეპყრობა თანამოსაუბრეს, აქვს უნარი მოთმინებით მოისმინოს და მიიღოს განსხვავებული მოსაზრებები. გამოიკვეთა კანდიდატის პრინციპულობა და შეუვალობა. აღსანიშნავია მისი კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ კოლეგებს შორის. კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს. აღსანიშნავია, რომ მის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. თავის ფინანსურ თუ სხვა ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად. კანდიდატი გამოირჩევა პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით მიუკერძოებლობით.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20	კანდიდატმა საფუძვლიანად იცის სამოქალაქო სამართლის

			მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობა. გარკვეულ სამართლებრივ საკითხებზე კანდიდატს გამოკვლეული აქვს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა. კანდიდატი კარგად იცნობს როგორც ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. ის აქტიურად ეცნობა სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობასა და პრაქტიკას. კანდიდატი გამოირჩევა სამართლის ისტორიისა და ფილოსოფიის კარგი ცოდნით.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	კანდიდატს აქვს ძალიან კარგი ანალიტიკური აზროვნების უნარი. თავის გადაწყვეტილებებსა და სამართლებრივ ნაშრომებში საკითხის განხილვისას და საკუთარი მოსაზრების დასაბუთებისას, ასევე ნორმის განმარტებისას ის არ არის შემოფარგლული გარკვეული ჩარჩოებით და ახდენს საკითხის ფართო და ღრმა ანალიზს. დამაჯერებლად ასაბუთებს თავის მოსაზრებებს.
წერის უნარი	19	20	კანდიდატი თავის მოსაზრებას გადმოსცემს ნათლად და გასაგებად, ასევე თანმიმდევრულად და დამაჯერებლად. მას აქვს ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის კარგი უნარი.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15	კანდიდატი არის თავდაჯერებული და გაწონასწორებული. მას აქვს განსხვავებული მოსაზრების მოთმინებით მოსმენის უნარი. ღიად აფიქსირებს თავის მოსაზრებებს. მას აქვს გამართული მეტყველების უნარი, თავის მოსაზრებებს აფიქსირდებს დამაჯერებლად და დასაბუთებულად.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	კანდიდატი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით და მიზანდასახულობით. თითოეულ საქმეს ეკიდება დიდი პასუხისმგებლობით, რაც გამოიხატება მხარეების მიმართ მისი დამოკიდებულებითა და საქმის განხილვისა და გადაწყვეტილებების მომზადების საპროცესო ვადების დაცვის მაღალი მაჩვენებლებით. მას კარგად აქვს გააზრებული მოსამართლის როლი და პასუხისმგებლობა, თავისი საქმის შესრულებისას გამოირჩევა გულმოდგინებით და

			დამოუკიდებლობით.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	კანდიდატი არის ღია სიახლეებისა და ცოდნის გაღრმავების მიმართ. გამოირჩევა თვითგნვითარების სურვილითა და კარგი უნარით. საკმაოდ აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ ტრენინგსა და სემინარში.
პროფესიული აქტივობა	5	5	კანდიდატი დაახლოებით 13 წელია ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, ამასთან, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები მას აქტიურად იწვევენ როგორც ზოგიერთი სამართლებრივი საკითხის ექსპერტს. ის არის არაერთი სტატიის, მონოგრაფიისა და წიგნის ავტორი და თანაავტორი.
ქულათა ჯამი	**97**	**100**	
დასაბუთება	საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებას საფუძვლად უდევს გასაუბრება და მის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ და თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მისი რეკომენდატორებისა და გამოკითხული რესპოდენტების (კანდიდატის კოლეგების) მიერ შევსებულ კითხვარებსა და რეკომენდაციებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 36[3] მუხლის შესაბამისად ფასდება კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა. **<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით</u>** მოსამართლეობის კანდიდატის, ქეთევან მესხიშვილის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;* • *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;* • *პიროვნული და პროფესიული ქცევა;* • *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;* • *ფინანსური ვალდებულება.* **<u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი</u>** მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ ქეთევან		

	მესხიშვილს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. ის კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს, თუმცა, მას უფიქსირდება მცირედი ჯარიმები ფინანსური ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისათვის. საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული ჯარიმა დაფარული აქვს დროულად, კანონმდებლობით განსაზრღვული ვადების დაცვით. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ქეთევან მესხიშვილი სათანადო პასუხისმგებლობით ასრულებს თავის ვალდებულებებს. **<u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>** კანდიდატი არის პრინციპული, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი. მას შესწევს უნარი დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები. აღნიშნულ თვისებებს ადასტურებენ კანდიდატის რეკომენდატორები და კოლეგები. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ქეთევან მესხიშვილი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ანდა შემომწირველი. ამასთან, გასაუბრების მიმდინარეობისას მას არ გამოუვლენია რაიმე სახის შეუწყნარებლობა ანდა ტენდენციური დამოკიდებულება. შესაბამისად, მიაჩნია, რომ კანდიდატი არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით. **<u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>** აღსანიშნავია, რომ კანდიდატს კარგად აქვს გააზრებული მოსამართლის პასუხისმგებლობა და ინდივიდუალური მოსამართლის როლი სასამართლოს დამოუკიდებლობისა და საზოგადოების ნდობის ამაღლების საკითხებში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თავისი ქცევითა და პროფესიული აქტიურობით ცდილობს როგორც ინდივიდუალურმა მოსამართლემ საკუთარი წვლილი შეიტანოს აღნიშნულ საკითხებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი ღიად და გამჭვირვალედ აფიქსირებს თავის მოსაზრებებს გარკვეულ საკითხებთან მიმართებით, მათ შორის სასამართლოში არსებული გამოწვევების თაობაზე. აღნიშნული, უდავოდ, მისასალმებელია, ვინაიდან, თითოეული მოსამართლის, როგორც სასამართლო სისტემაში უშუალოდ მოქმედი პირის, მოსაზრება ღირებული და მნიშვნელოვანია. ამასთან, მნიშვნელოვანია მოსამართლე ნებისმიერ საკითხთან მიმართებით მოსაზრების გამოხატვისას არ გასცდეს ეთიკის ნორმებსა და ქცევის პრინციპებს. მიმაჩნია, რომ სასამართლოში არსებულ გამოწვევებზე საუბრისას

	კანდიდატი, თავისი მოსაზრების დაფიქსირებისას, გარკვეულ შემთხვევებში გასცდა კოლეგიალობის ფარგლებს. გაჩნდა შთაბეჭდილება, რომ კანდიდატი თითქოს განყენებულია სასამართლო სისტემის სხვა დანარჩენ მოსამართლეთაგან და მათი მოსაზრებებისგან. ამასთან, კანდიდატის მიერ სასამართლოს გამოწვევების მხოლოდ გასაუბრებაზე განხილვით შეიქმნა ეჭვის საფუძველი, თითქოს მას არ ჰქონდა შესაძლებლობა მიემართა მოსამართლეთა კონფერენციისა თუ იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის არსებული გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზების შეთავაზებით, ვინაიდან, მსგავსი მიმართვა და ინიციატივა კანდიდატის მხრიდან არ დაფიქსირებულა. ამასთან, კანდიდატის არგუმენტი იმის თაობაზე თუ რატომ არ დააფიქსირა მან ამ დრომდე თავისი მოსაზრებები, ვფიქრობ, მეტყველებს იმაზე, რომ კანდიდატს აკლდა გამბედაობა, რათა ღიად და გამჭვირვალედ დაეფიქსირებინა თავისი მოსაზრება. „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ პრეამბულის თანახმად: *„გათვალისწინებით იმის აუცილებლობისა, რომ მოსამართლეები, როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად, აცნობიერებდნენ, რამდენად ღირსეული და საპატიოა მათ მიერ დაკავებული თანამდებობა, ესმოდეთ იმ ნდობის მნიშვნელობისა, რომელიც მათ საზოგადოებამ გამოუცხადა და ყოველ ღონეს ხმარობდნენ სასამართლო სისტემისადმი არსებული ნდობის მომავალში შესანარჩუნებლად და ასამაღლებლად.“* რაც მათ შორის, გულისხმობს იმას, რომ მოსამართლემ უნდა მიიღოს მონაწილეობა სასამართლოსადმი საზოგადობის ნდობისა და სასამართლოს ავტორიტეტის შენარჩუნების მიზნით საერთო ქცევის სტანდარტებისა და წესების დადგენაში, გამოწვევების გამოვლენასა და მათ დაძლევის გზების ძიებაში. მოსამართლეებს ეკისრებათ კოლექტიური პასუხისმგებლობა სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის საკითხებში, ვინაიდან, თითოეული მოსამართლე წარმოადგენს სასამართლოს და ქმნის მის ავტორიტეტს. კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და სამომსამრთლო ეთიკის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად ქეთევან მესხიშვილის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. ქეთევან მესხიშვილი იყო მოპასუხე ერთ ადმინისტრაციულ საქმეში, დავის საგანი ზიანის ანაზღაურება. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ 2019 წლის 21 ივნისს ხარვეზის შეუვსებლობის გამო სარჩელის

	წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ მიიღო განჩინება. **<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u>** აღსანიშნავია, რომ კანდიდატს აქვს უმწიკვლო პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ კოლეგებს შორის. გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატს ახასიათებენ დადებითად. გამოარჩევენ მის კეთილსინდისიერებას, პროფესიულ ავტორიტეტს, გულისხმიერებას, სიმტკიცესა და დამოუკიდებლობას. ამასთან, ისინი მიიჩნევენ, რომ კანდიდატს არ ახასიათებს რაიმე სახის სისუსტე და ნაკლოვანება. **<u>ფინანსური ვალდებულება</u>** როგორც უკვე აღინიშნა, კანდიდატი კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ აღნიშნული გამორიცხავს მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების შედეგად, მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ეჭვის გაჩენის საფუძველს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე კეთილსინდისიერების პრეზუმფციის გათვალისწინებით, რომლის თანახმად მოსამართლე ითვლება კეთილსინდისიერად თუ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის თანახმად არ დადასტურდება მის მიერ რაიმე სახის არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, ქეთევან მესხიშვილი <u>სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.</u> **<u>კომპეტენტურობის კრიტერიუმების</u>** მახასიათებლებით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *სამართლის ნორმების ცოდნა;* • *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;* • *წერის უნარი;* • *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;* • *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;* • *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*

	• *პროფესიული აქტივობა.* **<u>სამართლის ნორმების ცოდნა</u>** კანდიდატი საფუძვლიანად ფლობს სამოქალაქო სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. გასაუბრების მსვლელობისას მას დაესვა არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. კანდიდატმა სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობისას გამოავლინა, რომ მას გააჩნია სიღრმისეული ცოდნა, ამასთან, შესწევს უნარი თავისი მოსაზრებები შესაბამისად გაამყაროს სამართლებრივი არგუმენტებით. აღსანიშნავია, რომ გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ თითოეულ საკითხზე კანდიდატს გამოკვლეული აქვს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა. კანდიდატი კარგად იცნობს როგორც ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. ის აქტიურად ეცნობა სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობასა და პრაქტიკას. კანდიდატი გამოირჩევა სამართლის ისტორიისა და ფილოსოფიის კარგი ცოდნით. საბოლოო ჯამში, გასაუბრებაზე დასმული სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვების განხილვის შედეგად კანდიდატმა ამომწურავი და დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა კითხვათა საერთო რაოდენობის დაახლოებით 90%-ს. **<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>** თავის სიღრმისეულ ცოდნას კანდიდატი საკმაოდ კარგად ავლენს და იყენებს თავის გადაწყვეტილებებსა და განსხვავებულ მოსაზრებებში, ასევე სამეცნიერო ნაშრომებში. მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები არის ამომწურავად დასაბუთებული და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, გასაგები. უფრო მეტი დამაჯერებლობისა და სიცხადისთვის გადაწყვეტილებებსა და ნაშრომებში კანდიდატი იყენებს სხვადასხვა ქვეყნის (უმეტესად გერმანიის) კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკას, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებებს გარკვეულ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კანდიდატის მიერ წარმოდგენილ გადაწყვეტილებაში სრულად არ არის დაცული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 389-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ფორმა.

	კანდიდატს აქვს ძალიან კარგი ანალიტიკური აზროვნების უნარი. საკითხის განხილვისას და საკუთარი მოსაზრების დასაბუთებისას, ასევე ნორმის განმარტებისას ის არ არის შემოფარგლული გარკვეული ჩარჩოებით და ახდენს საკითხის ფართო და ღრმა ანალიზს. თანმიმდევრულად, დამაჯერებლად და ნათლად ასაბუთებს თავის მოსაზრებებს. კანდიდატს აქვს 15-წლიანი პროფესიული გამოცდილება, რომელიც მოიცავს 10-წლიან სამოსამართლო გამოცდილებას. მიმაჩნია, რომ კანდიდატს აქვს თავისი გამოცდილების შესაბამისი კომპეტენცია. **<u>წერის უნარი</u>** თავის მოსაზრებებს კანდიდატი აფიქსირებს ნათლად, გასაგებად დ დასაბუთებულად. მას აქვს ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის კარგი უნარი. **<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>** კანდიდატი არის თავდაჯერებული და გაწონასწორებული. მას აქვს განსხვავებული მოსაზრების მოთმინებით მოსმენის უნარი. ის ღიად აფიქსირებს თავის მოსაზრებებს, ამასთან გასაგებად, დალაგებულად და დამაჯერებლად. **<u>პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში</u>** კანდიდატი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით და მიზანდასახულობით. თითოეულ საქმეს ეკიდება დიდი პასუხისმგებლობით, რაც გამოიხატება მხარეების მიმართ მისი დამოკიდებულებითა და საქმის განხილვისა და გადაწყვეტილებების მომზადების საპროცესო ვადების დაცვის მაღალი პროცენტული მაჩვენებლებით (73,8%, 75%). აღნიშნული მეტყველებს კანდიდატის პროდუქტიულობასა და სისწრაფეზე. მას კარგად აქვს გააზრებული მოსამართლის როლი და პასუხისმგებლობა, თავისი საქმის შესრულებისას გამოირჩევა გულმოდგინებით და დამოუკიდებლობით. **<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>** კანდიდატი არის ღია სიახლეებისა და ცოდნის გაღრმავების მიმართ. გამოირჩევა თვითგნვითარების სურვილითა და ამის კარგი უნარით. საკმაოდ აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ ტრენინგსა და სემინარში. მისი ფართო და სიღრმისეული ცოდნა როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო კანონდმებლობისა და პრაქტიკის მეტყველებს მის მიერ ახალი ცოდნისა და უნარების

	შეძენის ინტერესზე. კანდიდატს ჩაბარებული აქვს ადვოკატთა და პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდები. **<u>პროფესიული აქტივობა</u>** დაახლოებით 13 წელია ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, ამასთან მას აქტიურად იწვევენ როგორც ექსპერტს გარკვეულ სამართლებრივ საკითხებში, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები. არის არაერთი სტატიის, მონოგრაფიისა და წიგნის ავტორი და თანაავტორი.

სახელი, გვარი: ლევან გზირიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 27.05.2021 წ.